



619  
1958/2

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შახ

RAINIS  
F. A. ...

დროშა  
№ 8 აგვისტო 1958







# ფრედერიკ ჟოლიო-კიური



სამწუხარო ამბავმა მოიარა მთელი მსოფლიო. გარდაიცვალა დიდი ფრანგი მეცნიერი, მშვიდობის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი ფრედერიკ ჟოლიო-კიური, რომლის მღელვარე და მრავალფეროვანი მოღვაწეობა ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს მებრძოლი კომუნისტისა.

ჟოლიო-კიურის სახით ფრანგმა ხალხმა და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ დაჰკარგა გამოჩენილი მეცნიერი, რომლის შრომებმა ატომულის ფიზიკის დარგში სახელი გაუთქვა საფრანგეთს. 1934 წელს მან ირენ ჟოლიო-კიურისთან ერთად აღმოაჩინა ხელოვნური რადიოაქტივობის მოვლენა—და დაამტკიცა ატომის ენერჯის განთავისუფლების შესაძლებლობა. თანამედროვეობის დიდი ფიზიკოსი კარგად ხედავდა, თუ რა

გრანდიოზული შესაძლებლობის წინაშე აყენებდა კაცობრიობას მეცნიერება, მაგრამ ამავე დროს იგი ერთი წუთითაც არ წყვეტდა ბრძოლას იმპერიალისტთა წინააღმდეგ, რომლებსაც ეს დიდი აღმოჩენა ადამიანთა გასაწვევტად სურთ გამოიყენონ. ჩვენგან წავიდა ადამიანი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია თანამედროვეობის უდიდესი მოძრაობა,—მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა. ჟოლიო-კიური იყო უცვლელი თავმჯდომარე მსოფლიოს მშვიდობის საბჭოსი. მოწინავე კაცობრიობის წინაშე დიდი დამსახურების აღსანიშნავად ჟოლიო-კიური დაჯილდოვებული იყო საერთაშორისო ლენინური პრემიით „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის.“

ამა წლის გაზაფხულს იგი მოსკოვში ჩამოვიდა სტუმრად. დიდი მეცნიერი ზიზღით იხსენიებდა მათ, ვინც გაუგონარ საშინელებას უმზადებს კაცობრიობას, ვისაც სურს მეცნიერები ომის გამჩალებელთა სამსახურში ჩააყენოს.

ფრედერიკ ჟოლიო-კიურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამძიმარში ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას. იმასთან დაკავშირებით, რომ გარდაიცვალა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე; მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე პროფესორი ფრედერიკ ჟოლიო-კიური.“

ფრედერიკ ჟოლიო-კიურის მთელი სიცოცხლე, მჩქეფარე და მრავალფეროვანი მოღვაწეობით აღსავსე, საფრანგეთის მშრომელთა საქმისათვის მებრძოლის—კომუნისტის, გამოჩენილი მეცნიერის მამაცობისა და დაუცხრომელი ენერჯის ბრწყინვალე მაგალითია, მეცნიერისა, რომელმაც თავისი უდიდესი ცოდნა და ნიჭი მოახმარა კაცობრიობის სამსახურს, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმეს.

საბჭოთა ხალხი სამუდამოდ დაიცავს ფრედერიკ ჟოლიო-კიურის—საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის ნათელ სსოვნას, რომელიც დაუცხრომელი ენერჯით იბრძოდა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.“

ფრანს პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა ფრედერიკ ჟოლიო-კიურისადმი მიძღვნილი ნეკროლოგი, რომელშიც ნათქვამია: „ფრედერიკ ჟოლიო-კიურის სახით გაქრა ერთ-ერთი იმ ოთხ ან ხუთ დიდ ფიზიკოსს შორის, რომლებმაც შექმნეს მეცნიერება ატომის ენერჯის შესახებ.“

საბჭოთა კავშირის ხალხები თავს დაბლა ხრიან მოქალაქის, მებრძოლის, ჰუმანისტის ჟოლიო-კიურის სსოვნის ნიშნად, რომელსაც ისევე მაღალი ჰქონდა საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, როგორც—მეცნიერული განსწავლულობის დონე.

7746







ეროვნული  
 ბიბლიოთეკა  
 მანუჩიშვილი  
 ბიბლიოთეკა

**გურამ ბოგარტიალი**

რიგა ის ქალაქია, რომელიც ერთი შეხედვით მოგხიბლავთ, რომლის თავისებურებასა და სიკოხტავეს პირველსავე წუთებში შეიგრძნობთ. მისი თავისებურება გამოიხატება ქუჩების გეგმარეზონანსსა და არქიტექტურულ მრავალფეროვნებაში, ძველი რიგის ციხე-კოშკების განუმეორებელ სილუეტებში, ცაში აჭრილი წვერწამახული სამრეკლოების სიფაქიზეში, კუკლუს დაუგავაზე გადაჭიმულ ბუმბერაზი ხიდების სილამაზეში, რაც ყველაზე მეტად მოხვდება თვალში ახლად ჩასულს, ეს არის ქალაქის სანიმუშო სისუფთავე და სიმწვანე, რომელიც ასე აკეთილშობილებს და ამშვენებს რიგას. ყოველ ნაბიჯზე არყის, ცაცხვის, მუხის, ნეკერჩხლის ხეივნები; აყვავებული სკვერები, ყვავილნარები, პარკები, მოსარკული ტბები. ასეა ქალაქის ყველა უბანში, ყვავილებია ყველგან — დაწესებულებებში, ოჯახებში, კინოებსა და სტადიონებზე.

რიგის გარეუბანში მდებარეობს კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი. ეს არის ბუნებრივი ტყე-პარკი, რომელიც ათეულ ჰექტარს შეიცავს. აქ თქვენ შეხვდებით ყველაფერს, ბავშვთა რკინიგზის სადგურიდან დაწყებული, წყალჯომარობის სადგურით დამთავრებულს. აქვეა კავშირში ყველაზე დიდი ესტრადა, რომლის სცენაზე თხუთმეტი ათასი მომღერალი ეტევა, ხოლო მის ამფითეატრში ოცდაათი ათასი მაყურებელი თავსდება.

პარკის გრანდიოზულ ტერიტორიაზე იშვიათად შეხვდებით დასასვენებელ სკამებს. ყველა მომსვლელს უფ-

ლება აქვს დაისვენოს, ხასხასა მინდორზე, წამოწვეს, ისაუზმოს. მიუხედავად ამისა, აქ თქვენ ვერ ნახავთ გადათელილ, მონაგვიანებულ პატარა ადგილსაც კი. და აი რატომ.

ჩვენ, ლატვიელ მწერალ ქან გრივასთან ერთად, ვათვლიერებდით ამ პარკს. შევამჩნიეთ, რომ გრივას უკვე კარგა ხანია, რაც ცერსა და საჩვენებელ თითს შორის ოთხად გაკეცილი პაპიროსის ნამწვი მოუქცევია და რატომღაც არ აგდებს. თავდაპირველად ეს მწერლის ჩვეულება გვეგონა. არც შევამცდარვართ. ეს მართლაც ჩვეულება აღმოჩნდა, ჩვეულება სისუფთავისა და წესრიგის დაცვისა. როდესაც მოზრდილ ურნას გვერდით ჩავუარეთ, ქან გრივამ მექანიკურად ჩააგდო ნამწვი ურნაში.

ბაზარი რომ ბაზარია, სადაც თითქოს შეუძლებელია სისუფთავის დაცვა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგის ბაზრები თავიანთი გრანდიოზულობითა და ორიგინალობით მთელს კავშირში არიან ცნობილი), იქაც ვერ ნახავთ ჭუჭყსა და უწესრიგობას.

რიგელები არ კმაყოფილებიან მიღწეულით, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, არ დარჩეს გაუმწვანებელი არც ერთი ქუჩა, არც ერთი ეზო. ხოლო ისინი, ვინც თბილისში იყვნენ და თავიანთი თვალთ ნახეს ჩვენი დედაქალაქი, გვეუბნებოდნენ: „თბილისში ბევრი რამ არის კარგი, რაც ჩვენ აუცილებლად უნდა გადავიღოთ, არაფერში არ გვინდა ჩამოვრჩეთ“. ნურც ჩვენ ჩამოვრჩებით რიგელებს!

ერთი სიტყვით, რიგასა და თბილისს

**ფოტო ავტორი ხა**

და და ჩვეულებრივ შოვლენად იქცა დღევანდების გაცვლა-გამოცვლა. განსაკუთრებით ნაყოფიერი და ხშირია თბილისისა და რიგის მრავალი მონათესავე საწარმოს სოცშეჯირება.

დღეს სოცშეჯირებაში არიან ჩაბმული რიგის „სარკანა ტექსტილინიცს“ და თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა.



გელები პარკში.

მინც რაში გამოიხატება ამ ორი ქალაქის ურთიერთ კავშირი და მეგობრობა?

ძნელიც კია იმის დადგენა, თუ რიგასა და თბილისში რამდენ ორგანიზაციას, საწარმოს, სკოლას, დაწესებულებას და ცალკეულ პიროვნებებს აქვს ერთმანეთთან მიმოწერა. გახშირ-

„სარკანის რიტის“ და თბილისის ტრიკოტაჟკომბინატი, რიგის „კოსმოლი“ და თბილისის კოტონ-წინდებს ფაბრიკა, მეგობრული მიმოწერა აქვთ რიგის ელექტრო-მექანიკურ და თბილისის „ელექტროგამშვების“ ქარხნებს და მრავალ სხვას.

ორი ქალაქის მშრომელთა ეს ძლი-

ქალაქის პარკის ერთ-ერთი კუთხე.





რი ურთიერთ სწრაფვა, დახმარების, გამოცდილების გაზიარების დიდი სურვილი, ამტკიცებს მათ ნეგობრობას და აღრმავებს მათი მშობის ფესვებს.

ეს აზრი შესანიშნავად გამოხატა რიგის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. ფ. ბაუმანისმა: „ჩვენ გვახალისებს და სტიმულს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ვეჯობებით ისეთი დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქალაქს, როგორც თბილისს. ამ მოკლე ხანში ჩვენ ბევრი და კარგი საქმე გააკეთეთ, რათა უფრო მომხიბვლელი გაგვეხადა ჩვენი მშობლიური ქალაქი რიგა“.

ამ ერთი წლის განმავლობაში რიგელებმა მართლაც ბევრი სიახლე შემატეს თავიანთ „ჭაღარა ქალაქს“ (ასე უწოდებენ ლატვიელები რიგას). მიმდინარეობს რკინიგზის მთავარი ვაგზის რეკონსტრუქცია. ამ წლის ბოლოს რიგელები მიიღებენ 100.000 კვ. მეტრ საცხოვრებელ ფართობს. მდინარე დაუგავაზე გაიღო რიგის ყველაზე ულამაზესი და უდიდესი ხიდი. ქალაქში გაშენდა ახალი ბაღები, სკვერები, დაირგა ათასობით ძირი მწვანე ნარგავი. გაიჭრა ბევრი ახალი ქუჩა.

ნებში რიგაში ჩატარდება ლექციები და საუბრები თბილისის ისტორიაზე, მის აწმყოზე, მომავალ პერსპექტივებზე. მოხდება შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლა, ხოლო ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ ლამაზ ქუჩას „თბილისის ქუჩა“ გვინდა ვუწოდოთ.

ასე მტკიცდება და ღრმავდება თბილისისა და რიგის მეგობრობა. მაგრამ არის კიდევ ორი პატარა ქალაქი ლატვიასა და საქართველოში, რომლებსაც არა ნაკლები ძმური კავშირი აქვთ ერთმანეთთან. ამის შესახებ მოგვითხრობს:

**ს ა მ მ ე ნ ო მ ა რ ი 2 0 .**

საერთოდ რიგის მახლობლად მდებარე რაიონები თავისი სილამაზითა და კლიმატით საქვეყნოდაა ცნობილი. ზღვისპირეთი, მრავალრიცხოვანი ტბების სანაპიროები, შესანიშნავად მოწყობილი სანატორიუმებით, დასასვენებელი სახლებით ათასობით დამსვენებელს იზიდავს.

მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თვალწარმატებულ კურორტს სიგულდას.

სიგულდა რიგიდან 54 კილომეტრის



**ვ. ი. ლენინის ძეგლი ქალაქის ცენტრში.**

როგორ მოხდა ეს? ამ ამბავს თავისი პატარა ისტორია აქვს და ჯობს მოვუსმინოთ იმ ადამიანს, ვინც ამ საქმის ერთ-ერთი ენთუზიასტი და ბოლომდე მიმდევარი გახლავთ.

...რიგიდან რვა საათზე გამოვედით და სიგულდაში უკვე თერთმეტზე გახლდით. სამმა საათმა შეუმჩინებლად გაირბინა, ისეთი წარმატაცი იყო გზა ამ ორ ქალაქს შორის.

როგორც ყველა პატარა ქალაქსა თუ დაბას სჩვევია, სიგულდაშიც, საღვურადან ორასი-სამასი მეტრის მოშორებით, მდებარეობს ყველა „მაცოცხლებელი და მამოძრავებელი უბანი“, რომელიც ამ ქალაქის ცხოვრებას გააჩნია.

აქვეა რაისაბჭოც. სწორედ აქ გვეგულება ის კაცი, რომელიც ამ საქმეში გავგარკვევს.

...აივარს იანელისტიის საშუალო ტანის, თხელი, ფერმკრთალი ახალგაზრდაა. ჩვენთან საუბარს იგი ჯერ თითქოსდა უხალისოდ იწყებს. მერე თანდათანობით ეშვში შედის და ნასიამოვნები ღიმილით იგონებს ჭიათურას, ფუნიკულიორიდან გადაშლილ თბილისის ხედს, „რომლის მსგავსიც მას ჯერ არაფერი უნახავს“, იგონებს გულთბილ შეხვედრებს; შემდეგ ულის მოზრდილ უბის წიგნაკს და დამარცვლით კითხულობს თბილისში შექმნილ მეგობრების გვარებს, მისამართებს. გვიჩვენებს ადგილობრივი გაზეთების ეგზემპლარებს, რომელშიც გამოუქვეყნებია თავისი შთაბეჭდილებები საქართველოში ხანმოკლე მოგზაურობის შესახებ.

— როგორ დაიწყო? — იმორებს ჩვენ კითხვას აივარსი და საწერ მაგიდიდან იღებს სქელ საქაღალდეს, რომელსაც ლურჯი ასოებით აწერია „საქმე № 20“ — დაიწყო პატარა წერილით და დღეს, როგორც ხედავთ, კომუნალურ განყოფილებაში შეიქმნა საქმე № 20 — სიცოლით გვეუბნება იგი.

...სიგულდას ხელმძღვანელობასა და მოსახლეობას დიდი ხანია რაც ჰქონდათ აზრი საბაგირო გზის გაყვანისა.

ეს იყო აუცილებელი და საჭირო საქმე, რომლის მოგვარებაც მოხერხებულსა და კეთილმოწყობილს გახდიდა კურორტს. აზრი კი არსებობდა, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება ვერას-გვით ვერ მოხერხდა.

და ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად გამოჩნდა „ხსნა“: ჟურნალ „ოგონიოს“ 1956 წლის მაისის ნომრის ყდაზე სიგულდასა და იხილეს საპაერო-საბაგირო გზის ხედი. წარწერა იუწყებოდა, რომ იგი საქართველოში, ქალაქ ჭიათურაში არსებობდა.

სასწრაფოდ დაიწერა ბარათი: „ჩვენ ძალიან გვინტერესებს საბაგირო გზის შესახებ ყველაფერი. გთხოვთ მოგვაწოდოთ საჭირო ახსნა-განმარტებები ამ საკითხის გარშემო“ — წერდნენ სიგულდასა და იხილეს ქალაქის მალაროელებს.

მალე საპასუხო წერილიც მოვიდა. მისი ავტორი, ჭიათურის საბაგირო გზის ერთ-ერთი შემქმნელთაგანი, გიორგი ფანცულაია წერდა: „ქალაქ ჭიათურის საპაერო-საბაგირო გზა კავშირში პირველია. იგი „ჭიათურმარგანეცის“ ტრესტის მუშაკთა ძალეებით არის შექმნილი“. იგი უხსნიდა სიგულდას, რომ ამაში განსაკუთრებულად რთული და შეუძლებელი არაფერი არ არის და მთავარი საქმის მიყოლა და მონდომებააო.

შემდეგ კვლავ წერილი სიგულდას, შემდეგ ისევ პასუხი. ერთი სიტყვით, საქმიანი კავშირი გაიბა სიგულდასა და ჭიათურას შორის. როდესაც საკითხი სავსებით მომწიფდა, მეგობრები პირადად გაეცნენ ერთმანეთს. საქართველოში ლატვიელებმა მოაგლინეს აივარს, იანელისტიის — სიგულდას მკვიდრი და ამ საქმეზე დიდად თავდადებული ახალგაზრდა.

მან რამდენიმე დღე დაჰყო ჭიათურაში, პირადად გაეცნო და დათვალიერა საბაგირო გზა, ეწვია თბილისსაც. აივარსმა ლატვიიდან ჩამოიტანა დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ: „ლატვიის მინისტრთა საბჭომ გა-



**თბილისის ქარხანა „ელექტროგამშენების“ ქართველ სპეციალისტთა ჯგუფი ეცნობა რიგის ელექტრომექანიკურ ქარხანას.**

რიგელებს ერთი წუთითაც არ დავიწყინათ ჩვენი დედაქალაქის სახელოვანი იუბილე.

— თბილისის 1500 წლისთავი რიგელებისათვისაც დღესასწაულია, ჩვენ ყველაფერს გააკეთებთ, რომ ღირსეულად შევხვდეთ ამ თარიღს, — განაცხადა ე. ბაუმანისმა. — უახლოეს ხა-

მოსორებით მდებარეობს, ეს არის ისტორიული ძეგლებით და მომჯადოებელი სილამაზით შემკული მხარე.

უძველესი მდინარის გაუის კლდოვანი სანაპიროები, გამოქვაბულები, დაცემული მინდვრები და ხუჭუჭა ბორცვები, ნაძვისა და ფიჭვის ტყეები, ანკარა წყაროები, ყველაფერი ეს ტურისტების მიმზიდველ ადგილად აქცევს სიგულდას.

საკმარისია ითქვას, რომ მისი ტერიტორია 1.400 ჰექტარს შეიცავს და აქედან 900 ჰექტარი ტყეებსა და პარკებს უკავია.


მხოლოდ ერთი უხერხულობაა. კურორტის ცენტრი, სანატორიუმები და ულამაზესი ადგილები ერთმანეთთან მოშორებით მდებარეობენ და მიმოსვლის საშუალებაც უხერხული და გრძელია.

და ამ პატარა ჩრდილოეთის ქალაქს ნამდვილი ძმური კავშირი აქვს ჩვენს „შავი ოქროს ქალაქ“ ჭიათურასთან.



**ჯან გრივა**





ძველი რიგის ერთ-ერთი ქუჩა.

მოყო თორმეტი ათასი მანეთი სიგულდის საბაგირო გზის პროექტირებისათვის. ამასთან მან ჰიათურელ სპეციალისტებს თხოვნა გადასცა, რათა სწორედ მათ შეეღვინათ ეს პროექტი. იყო კიდევ ერთი წინადადება ლატვიიდან: სიგულდა ჰიათურას სოცშეკიბრში იწვევდა.

ქართველებმა პროექტის შედგენა უსასყიდლოდ იკისრეს. „ეს ჩვენი მცირე საჩუქარი იქნება, ფული ქალაქის კეთილმოწყობას მოახმარეთ“, ხოლო მეორე წინადადება სიამოვნებით მიიღეს.

როდესაც სიგულდელემა მთელ ლატვიელ ხალხთან ერთად, 1957 წლის ნოემბერში თავისი არსებობის 750 წლისთავი ილდესასწაულეს, რაღა თქმა უნდა, თავისი შორეული მეგობრებიც მიიწვიეს ამ მნიშვნელოვან თარიღზე.

მაღე სიგულდაში თვით ინჟინერი გ. ფანცულაია ჩავიდა. მან დაათვალიერა ტრასა, რომელზედაც გაივლის საბაგირო გზა, საჭირო ახსნა-განმარტებები მისცა ადგილობრივ სპეციალისტებს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ბარათი, ჰიათურელები იტყობინებოდნენ, რომ მათ შეასრულეს დანაპირები, გამზადეს პროექტი, ხოლო საბაგირო გზის ვაგონებსა და სხვა ძირითად მოწყობილობებს საჩუქრად გომზადებენ კიროვის სახელობის თბილისის ქარხნის მუშეები.

მაღე სიგულდას დაამშვენეს ერთ კილომეტრიანი საპაერო-საბაგირო გზა, რომელიც შეიქმნა ორი ქალაქის თანამეგობრობის შედეგად, გზა, რომელსაც სახელად ერქმევა — „ლატვიელი და ქართველი ხალხის მეგობრობა“.

ეს იქნება კარგი დასაწყისი შემდგომი დახლოებისა და სიყვარულის, ძმობისა და მეგობრობის, ამის მომხრე და მხარის დამჭერი ყველა ლატვიელი და ქართველი

**პ ა ტ რ ი ო ბ ი.**

ქან გრივასთან შეხვედრა, რიგის სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალის რედაქტორმა ბლუმიშმა გვიჩნია. „იგი არის ენერგიითა და გამოცდილებით სახვე მწერალი, დიდი პატრიოტი

და მცოდნეა თავისი ქვეყნისა“ — გვითხრა მან.

— ჩემი მისამართია კოკნესუს პროსპექტი, ნომერი თოთხმეტი, — ცოცხლად, ოდნავ დამტვრეული რუსულით გაგვცა პასუხი ტელეფონში გრივამ, — ქალაქგარეთ ვარ, ცენტრალური პარკის მახლობლად.

მწერალი ჰიმოქართან გველოდა. მანქანა გაჩერდა და იგი ნაცნობივით მოგვეგება:

— მე ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ თქვენ ხართ ქართველები! — ღიმილით მოგვმართა და ვაჟაკურად ჩამოგვართვა ხელი.

გრივა შესანიშნავი, ბრვე ვაჟაკია, ფართო გულ-მკერდით და ცოცხალი თავლებით, საოცრად მოძრავი.

მოზრდილი სამუშაო ოთახის ნახევარი წიგნებს და ხელნაწერებს უკავია. მხოლოდ მარცხნივ, დაბალ მაგიდაზე სუფრაა გაშლილი: რიგის განთქმული ლუდი და ნაციონალური ნამცხვარი.

— ქართველებს პურ-მარლით ვინ გაგაკვირვებუ, მაგრამ მაინც შევსავთ თითო ჭიქა, — გვებრძლიშება მასპინძელი.

ქან გრივა ლატვიის საკმაო პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს (მისი ნამდვილი გვარი ფოლმანისია, გრივა — ლიტერატურული ფსევდონიმი). იგი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მწერალია. ძირითადად დრამატურგიაში მუშაობს, წერს, აგრეთვე, მოთხრობებს, ლექსებსა და ნარკვევებს (ამა წლის ივლისში „ლიტერატურაშია გაზეთმა“ გრივა თავის სპეციალურ კორესპონდენტად მიაგლინა სტოკჰოლმის მშვიდობის კონგრესზე).

მაგრამ ქან გრივას აქვს კიდევ მეტად დასაფასებელი და პატივსაცემი თვისება, ეს არის ამ ადამიანის უადრესად პატრიოტული და ვაჟაკური ბუნება. იგი არის ჰემშირიტი მეზობლი მწერალი. „მე უფრო მეტი ვიომე, ვიდრე ვწერო“ — თქვა თავის თავზე ქან გრივამ. და ეს ლიტონი სიტყვები როდია. მან თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი არაფერაღმურ მდგომარეობასა და ომებში გაატარა.

ბურჟუაზიულ ლატვიის გრივა, სხვა პატრიოტი მწერლებთან ერთად, იატაკქვეშ მუშაობდა, უშვებდა გაზეთებს, წიგნებს, წერდა მოწოდებებს (სწორედ კონსპირაციის მიზნით შეიცვალა მან გვარი).

1936 წელს მწერალი პატრიოტულ რაზმში ჩაეწერა და სამი წლის განმავლობაში ესპანეთის ომებში იღებდა მონაწილეობას. შემდეგ მან ორი წელიწადი ტანჯვასა და წამებაში გაატარა საფრანგეთის საკონცენტრაციო ბანაკებში. გრივა ლატვიის 1941 წელს დაბრუნდა და თავისი სამშობლოს საბჭოთა ძმურ ოჯახში შესვლას დიდი სიხარულით შეხვდა. მაგრამ მაღე გერმანულ ფაშისტთა ვერაგულმა თავდასხმამ იგი კვლავ ომის ქარცეცხლში მოატყა. საბჭოთა ჯარში მოხალისედ წასული მწერალი მამაცურად იბრძოდა. განიცადა მრავალი მწარე დღე და ეს დაზიანებული ფეხი, რომელიც სიარულს უშლის, იმ დღეების ნაკვალევა. მან პირადად გამოსცადა ლენინგრადის ბლოკადის საშინელებანი.

მაგრამ ვაჟაკი ვაჟაკურად დაბრუნდა. განავრძო თავისი შემოქმედებითი

მუშაობა. ახლა, როდესაც უყურებ მას, ასეთ მხიარულს, მხნესა და ენერგიულს, ვერც კი წარმოიდგენ, რომ ეს კაცი მრავლის გადამტანი და მხახველია.

ქან გრივა კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ეწაფება ცხოვრებას. იგი დიდი მოყვარულია ნადირობისა და თევზაობის, გატაცებულია ტურიზმით. ფეხით აქვს შემოგლილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხე. ნამყოფია საქართველოში.

„სასტუმროებსა და ოფიციალურ ვიზიტებზე სიარულს, მართო ხეტიალი და საქართველოს მოზადებელი ბუნების უშუალოდ გაცნობა ვამჯობინებ“ — გვითხრა მან.

გრივა დიდი პატივისმცემელი და მოყვარულია ქართული ლიტერატურის. მას თავის ბიბლიოთეკაში აქვს შოთას უკვდავი პოემის რუსული თარგმანი. კარგად იცნობს თანამედროვე ქართულ პოეზიას.

„მაგრამ ჩვენთან ნაკლებად, ძალიან ნაკლებად ითარგმნება ქართველი მწერლები. ასევეა, ჩემის აზრით, საქართველოშიც — იქ ნაკლებად უხვდებიან ჩვენს მწერლებს“, — დანაწებით გვითხრა ქან გრივამ და ამის ძირითად მიზეზად კვალიფიციური მთარგმნელების სიმცირე დაასახელა.

მწერალთან ერთად დავათვალიერეთ ცენტრალური პარკი, გავედით იქვე მდებარე ტბის, ტიშის ნაპირებზე.

ქან გრივას დავშორდით დიდად ნასიამოვნები და დავაღუბულვები.

— რაც შეიძლება მეტი შემოქმედებითი კონტაქტი, ეს ძალიან ბევრ კარგს მისცემს, როგორც ჩვენი რესპუბლიკის კალმის ოსტატებს, ისევე ნიჭიერ ქართველ კოლეგებს, — გვითხრა მან გამომშვიდობებისას და გულწრფელი მოკითხვა დავგაბარა

**ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ თ ა ნ .**

ერთი შეხედვით სამხრეთელ კაცს რიგის კლიმატთან შეგუება უნდა გაუჭირდეს, მაგრამ სინამდვილეში, ასე როდია. სიმწვანე, მდინარეები, ზღვის სიხალეოვე — ყველაფერი ეს სამხრეთულ იერს აძლევს რიგას და, ალბათ, ეს არის იმის მიზეზი, რომ რივაში არა ერთი ქართული ოჯახი ცხოვრობს წლების განმავლობაში და თავს გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში.

რამდენიმე მათგანს ჩვენ პირადად შეხვდით, ზოგის შესახებ ლატვიელმა მეგობრებმა გვიამბეს.

რივაში კარგად იცნობენ ქართველ სპეციალისტებს, რომლებმაც პატიოსანი შრომითა და ენერგიულობით ადგილობრივთა პატივისცემა დაიმსახურეს: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ არჩილ მარაბელს, არქიტექტორ ნინო ბაგრატიონს, ინჟინერ ბორის სულაქველიძეს, ექიმ ოთარ ჩიქოვანს, ტექნიკოს შოთა იმედაძეს, ექიმებს მარინე საყვარელიძესა და ალექსანდრე დადიანს.

სწორედ ამ უკანასკნელებს ვეწვიეთ ოჯახში.

აბა, რომელ ქართველს არ გაეხარდება თავისი თანამემამულის ნახვა შორეულ ქალაქში. მარინე საყვარელიძე-მაც ისე მიგვიღო, თითქოს ერთმანეთის დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით. მას არც კი უკითხავს ჩვენი ვინაობა, თვალგაბარწყინებული და გა-

ხარებული გვეკითხებოდა თბილისზე, საქართველოზე. ასეთივე გულთბი და წრფელი იყო ოჯახის უფროსის ალექსანდრე დადიანის შეხვედრაც, რომელიც საუბარზე შემოგვეწრო.

კოლ-ქმარი უკვე რვა წელიწადზე მეტია, რაც რივაში ცხოვრობენ სექსანდრე ქალაქის პირველ საავადმყოფოში მუშაობს სამედიცინო გენოკოლოგიურ განყოფილებაში და ამასთან რიგის სამედიცინო ინსტიტუტში ამავე კათედრაზე ასისტენტად ირიცხება. იმავე სპეციალობის მეუღლე მარინე კი ქალაქის მესამე საავადმყოფოში მსახურობს.

მათი ვაჟი ოთარი, რიგის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლეა და წელს წარჩინებით დაამთავრა რვა კლასი.

ეს არის მშრომელი ოჯახი, რომლის ყოველი წევრიც პატიოსნად ემსახურება თავის საქმეს და ცდილობს სიყვარული და პატივისცემა დაიმსახუროს ახლობლებში.

საღამო ხანს ოჯახში თავი მოიყარეს ქართველმა და ლატვიელმა მეგობრებმა.

„ჩვენთან თითქმის ყოველდღე ასეა — სიცილით გავიმართა მარინემ — წინაპრებიდან მოგვეყვება ხალხთან კავშირი და მეგობრობა (სხვათა შორის, მარინეს მამა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და რევოლუციონერი პავლე საყვარელიძე იყო, ხოლო დედა ჩვენი სასიკაძულო მსახიობის ვალერიან გუნიას ქალიშვილი).“

საუბარი ეხებოდა ყველაფერს, რაც კი საქართველოსთან იყო დაკავშირებული, რიგელებს, რომლებიც მათთვის ისევე ახლობლებად გადაიქცნენ, რო-



მარინე საყვარელიძე.

გორც ერთი კუთხის ხალხი. ყველა კმაყოფილი და ნასიამოვნები იყო თავისი ხვედრით. მაგრამ გამომშვიდობებისას თვითუღმა მათგანმა ერთმანეთს უსურვა რომ მაღე თბილისში შემდგარიყო შეხვედრა.

ასეთია ჩვენი მეგობარი და „მეტოქე“ ქალაქი ერთი თვალისგადაღლებით. ერთ-ერთი დედაქალაქი იმ თხუთმეტთავანიდან, რომლებიც მრავალნაციონალურ საბჭოთა ოჯახს შეადგენს. თბილისისა და რიგას ძმური კავშირი ჩვენი სამშობლოს ერთიანობასა და სიმტკიცეზე მეტყველებს, ეს არის ამ ორი ქალაქის შემდგომი წინსვლისა და ახალი გამარჯვებების უშრეტო წყარო.



# ილია ჭავჭავაძე და ივანე თარხნიშვილი

(ივ. თარხნიშვილის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის გამო)



გამოჩენილი მეცნიერი ივანე თარხნიშვილი, სამეცნიერო ასპარეზზე მამულად პეტერბურგში მოღვაწეობასთან ერთად, საქართველოსთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული; იგი თბილისში გამოვიდა ისეთი შესანიშნავი საჯარო ლექციებით, რომლებმაც წარუშლელი კვალი დასტოვეს ქართულ საბუნებისმეტყველო აზროვნების ისტორიაში და რომელთა შინაარსი მთლიანად უპასუხებდა თერგდალეულთა იდეოლოგიურ ბრძოლას.

თვით ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ამ ლექციებს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შემდეგში „ივერიაში“ გამოქვეყნებული იყო ხელმოწერილი წერილი, რომელშიაც ივ. თარხნიშვილის საჯარო გამოსვლის შესახებ ვკითხულობთ: მან „დიდი გავლენა იქონია ქართველ საზოგადოებაზედა“. ილია იმდენად მაღალ შეფასებას აძლევდა ივ. თარხნიშვილის აღნიშნულ ლექციებს, რომ გამოაქვეყნა იმავე წერილში მოტანილი ნაწყვეტი გიორგი წერეთლის მოგონებებიდან, სადაც ეწერა: „1878 წელს ივ. თარხნიშვილი ჩამოვიდა თბილისში და აქ რამდენიმე უბნელიურ ლექცია წაიკითხა... დარბაზში ტევა აღარ იყო მაყურებლებისაგან... იმ დროს იმ ხანებში მთელს თბილისის საზოგადოებას მხოლოდ ახალგაზრდა პროფესორის ნიჭიერებაზე ჰქონდა ლაპარაკი და უნდა ეთქვა, რომ იმან კიდევ შეჰქმნა მთელი ეპოქა“...

ივ. თარხნიშვილი დაიბადა 1846 წელს გორის მაზრის სოფელ ახალქალაქში. ზოგიერთი ცნობის თანახმად, იგი ერთ ხანს თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლობდა, 1861 წელს კი, გიორგი წერეთელსა და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, სასწავლებლად პეტერბურგში წავიდა და იქ სიმწიფის ატესტატის მისაღებად გამოცდების ჩასაბარებლად მზადება დაიწყო. ამ მხრივ მას დახმარება პეტერბურგში მყოფმა ქართველმა ახალგაზრდებმა გაუწიეს და მათ შორის დიდი როლი შეასრულა ბესარიონ დოლობერიძემ, რომელსაც გიორგი წერეთელი ივ. თარხნიშვილის გამაზრდელს უწოდებდა. პეტერბურგში ჩასვლისთანავე ივ. თარხნიშვილი მოწინავე ქართველ ახალგაზრდების წრეში მოხვდა და მათთან ერთად მოწინავე რუს საზოგადოებრიობას დაუახლოვდა. ეს ქართველი ახალგაზრდები ილიას ირავლივ იყვნენ შემოკრებილი მისი პეტერბურგში ყოფნის პერიოდში.

თუმცა ივ. თარხნიშვილის პეტერბურგში ჩასვლის დროს ილია უკვე საქართველოში იყო წამოსული, მაგრამ იგი აღმოჩნდა ილიასეულ სულიერებით და იდეებით გამსჭვალულ ქართველ ახალგაზრდებს შორის და მათი მეშვეობით ამ სულიერებითა და იდეების გავლენა განიცადა. ამრიგად, პეტერბურგში სასწავლებლად მყოფი ივ. თარხნიშვილის იდეური ჩამოყალიბების სათავეები რუს მოწინავე მოაზროვნეებისა და მეცნიერების შეხედულებებთან ერთად ქართველი მოწინავე მოაზროვნეებისა და, მათ შორის — პირველ რიგში — ილია ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული.

ილია ფხიზლად ადევნებდა თვალს ფიზიოლოგიაში მომუშავე ქართველს. ივ. თარხნიშვილის მთელი საქმიანობა, მის მიერ მოპოვებული შესანიშნავი მეცნიერისა და მკვლევარის სახელი გულს უხარებდა ილიას და ივ. თარხნიშვილის სახით ჩვენში თანადროული ბუნებისმეტყველების განვითარების მაუწყებელ მერცხალს ხედავდა.

ამის გამო იყო, რომ კანონიერი სიამაყის გრძობით „ივერიის“ ფურცლებზე ქართველ მეცნიერებს ამცნო: „ჩვენ შევიტყუეთ, რომ ჩვენი ქართველი მსწავლელი თარხნიშვილი პეტერბურგის საექიმო აკადემიაში ფიზიოლოგიის პროფესორად დაუნიშნავთ. სტუდენტებს აკადემიისას თურმე ძალიან უყვართ თარხნიშვილი და მისი დანიშვნა გახარებათ“.

ივ. თარხნიშვილის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში პროფესორად არჩევის შედეგად ქართველ მეცნიერთა რაზმს ერთი, მაგრამ მეტად დიდი წარმომადგენელი შეემატა. ილიას „ივერია“ კმაყოფილებით წერდა: „ამით ქართველთაგანი ეხლა სამი პროფესორია: ერთი ალექსანდრე ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტში, მეორე უფალი პეტრიაშვილი ოდესის უნივერსიტეტში და მესამე თარხნიშვილი“. შემდეგში „ივერია“ წერდა: „მეტად სანუგეშებელია ქართველთათვის, რომ ჩვენი ქართველები ამ ბოლო დროს სამეცნიერო სარბიელზედ გამოდიან და არა ერთს მათგანს მიუტყვევია თავისთავზედ ყურადღება არამც თუ რუსეთის მეცნიერებისა, არამედ ევროპისაც... თარხნიშვილი, რომელსაც მეცნიერების წინაშე საქმოდ სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის, სახელგანთქმულია, როგორც მეცნიერი, როგორც პროფესორი საქმიან და სახიერო აკადემიისა და ამ ბოლოს, როგორც ერთი საუკეთესო და ნიჭიერი ლექტორი. პეტერბურგში ბ-ნ თარხნიშვილს ისეთი სახელი და პატივი აქვს, რომ საქმარისა გამოცხადდეს ბ-ნი თარხნიშვილი საჯარო ლექციას კითხულობს და დანიშნულ ლექციისათვის დარბაზში ტევა აღარ არის ხოლმე, ტაშის კვრას და მოწონებას ხომ თვლა არა აქვს“.

ივ. თარხნიშვილის მოღვაწეობის ოცდასუთი წლის შესრულებასთან დაკავშირებით „ივერია“ წერდა: „გუშინ 9 მარტს შესრულდა 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც ივანე რომანოვის-ძე თარხნიშვილი სამეცნიერო მოღვაწეობას შეუდგა და დღეს თვალსაჩინო სახელი და პატივი აქვს მოხვეჭილი“.

ცოტა ხნის შემდეგ „ივერია“ კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და ქართველ მეცნიერებს დაწვრილებით აცნობს, თუ როგორ ჩაიარა პეტერბურგში ივ. თარხნიშვილის იუბილე.

ივ. თარხნიშვილის მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავზე „ივერია“ წერდა:

„მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 9 მარტს 30 წელი შესრულდა, რაც ზვეთ თანამემამულე პროფესორი და აკადემიკოსი ივ. თარხნიშვილი სამეცნიერო, საპედაგოგო და სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობს. სატახტო ქალაქის გაზეთებში ამის გამო ბევრსა სწერენ“.

„ივერიაში“ მოთავსებული იყო „ნარკვევი ჟურნალ-გაზეთებიდან“, რომელიც შეეხებოდა ივ. თარხნიშვილის მოღვაწეობის 30 წლის შესრულებასთან დაკავშირებულ იუბილეს. „ივერია“ კვლავ აწვდიდა მკითხველს ივ. თარხნიშვილის ბიოგრაფიის ძირითად მომენტებს, რუსეთის პრესაში გამოქვეყნებულ წერილებიდან და სხვა მასალათა შორის შემდეგი ადგილები მოჰყავდა:

„ივ. თარხნიშვილი პეტერბურგელთა უსაყვარლესი ლექტორია. უნივერსიტეტში იმისი აუდიტორია ყველა ფაკულტეტის სტუდენტებით არის ხოლმე გატევილი. ხოლო „სოლიონი გოროდოვი“, სადაც ეს ორი წელია ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის ლექციებსა კითხულობს, აუარებელი საზოგადოება იყრის თავს იმის ლექციების მოსასმენად. თარხნიშვილი ყველასათვის ადვილმანა ენთუსიაზით კითხულობს ლექციებს და მეტად ცოცხლად გადასცემს ხოლმე მსმენელებს მეცნიერების რთულ სწავლა-მოძღვრებას. და ამიტომ ესწრება ყოველთვის აუარებელი ხალხი იმის ლექციებს“.

ილია ცდილობს თარხნიშვილის ზოგიერთი შეხედულებები გააცნოს ქართველ საზოგადოებრიობას. ამ მიზანს ემსახურებოდა „ივერიაში“ გამოქვეყნებული მთელი რიგი წერილები. ასე, მაგალითად, როდესაც ივ. თარხნიშვილმა პეტერბურგში გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ეხებოდა ადამიანის ორგანიზმზე მუსიკის გავლენის საკითხს, ილიამ მოათავსა კ. ზ-ძეს წერილი, რომელშიც ვკითხულობთ „ჩვენმა მიწა-წყლის შვილმა პროფესორმა თარხნიშვილმა... დაბეჭდა ფრად სანტერესო წერილი. მისი გაცნობა სასარგებლოდ დავინახეთ „ივერიის“ მკითხველთათვის. ვეცდებით შემოკლებით გადმოგცეთ ამ გამოჩენილი მსწავლელის გამოკვლევის შინაარსი“. ამის შემდეგ წერილში საქმოდ ვრცლად არის გადმოცემული თარხნიშვილის ნაშრომის არსი.

როდესაც რეაქციული წრეების მეშვეობით ივ. თარხნიშვილი იძულებული გახდა თავი დაენებებინა სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფიზიოლოგიის კათედრაზე მუშაობისათვის, „ივერია“, ხოტბას ასხამდა რა ივ. თარხნიშვილს, როგორც მეცნიერსა და ლექტორს, ამავე დროს დიდ აღფრთხილებას გამოთქვამდა შექმნილი მდგომარეობის გამო. „ივერიაში“ ივ. თარხნიშვილის მიერ პეტერბურგში წაკითხული ერთ-ერთი ლექციის შესახებ საკუთარი კორესპონდენტის წერილი გამოაქვეყნა. წერილს წამძღვარებული ჰქონდა სიტყვები: „ყველაზე ბედნიერი ის საზოგადო მუშაქია, ვისაც მოზარდი თაობა ნდობასა და სიყვარულს უცხადებს“.

შემდეგ ავტორი წერდა: „მე ოქტომბერი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მთელ ხანად გადაიქცა: ამ დღისთვის იყო დანიშნული ლექცია პროფესორის ი. თარხნიშვილისა, რომელსაც სხვადასხვა გარემოების გამო სტუდენტობის საკრებულო განათლების ტაძარში კარი ჰქონდა დახშობილი ამ ბოლოს დროს და რომელსაც ეროვნების... განურჩევლად ყველა სტუდენტი აღტაცებით მოელოდა, კვლავ კათედრაზედ მდგომარეს, საიდანაც მათს ყურს არა ერთი და ორი გულწარმტატი, გონების განმარწყინებელი და გამაზნევებელი სიტყვა ჰსმენია. დღის 10 საათიდან მოკიდებული 12 საათამდე სტუდენტობა მხარგამით მიისწრაფოდა იმ აუდიტორიისკენ, რომელშიც თარხნიშვილს ლექცია უნდა წაეკითხა... გაივსო იგი და 12 საათზე ნემსიც კი აღარ ჩავარდებოდა...“


შესრულდა 1 საათი და პროფესორიც გამოჩნდა, დარბაზში უცხად ტაშის კვრა გაისმა. პირმომღმირე და სახეგაბრწყინებელი ახალგაზრდობა პროფესორის თითქოს სულში ჩაძვრენას უპირებდა. ოჰ, რა იმედი, აღტაცება და ნდობა იხატებოდა ყველას სახეზე! ვაშას ძახილი და ტაშის კვრა რამდენსამე წაშს არ შეწყვეტილა. ახალგაზრდობის არანაკლებ მოსიყვარულე პროფესორიც მუზღაგაბრწყინებელი და აღტაცებული აძლევდა საღამოს სტუდენტებს. მიწყდა ტაშის კვრა. პროფესორმა რამდენიმე გრძობით საცხე სიტყვა უთხრა. ზედმიწევნით ეს აზრი გამოჰხატა: ახალგაზრდობა აღტაცებას ჩვეული არის; თქვენი ეგოდენ დიდი სიყვარული და ნდობა, მართალია დამსახურებულ არა მაქვს, მაგრამ, გამოგიტყდებით, ეგ თქვენი სიყვარული და ნდობა მა-საზრდოებს ამ ჩემს სამსახურგარეშე ყოფნაში.

სტუდენტობა გრძობამ შთანთქა. ერთ ხანად თითქოს ძალია წაერთვა, მიიზნოდა; მაგრამ პროფესორის გულწრფელმა სიტყვებმა კვლავ ააღლვა მსმენელთა გრძობა და გაისმა ტაშის ხმა და ვაშა-ვაშას ძახილი. აქა-იქ მოისმოდა: „არა, თქვენ ეგ დიდი ხანია დაიშხაურეთო“. იმ უამად, რაც სიყვარული დაუმტკიცეს ერთი მეორეს, პროფესორმა და სტუდენტობამ, ეს მხოლოდ გრძობითვე თუ გამოიხატება, თორემ სიტყვა, თუნდაც ძლიერი, ვერ შესძლებს იმის გადმოცემას“.

ასე უყურებდა და აფასებდა ილია და მისი „ივერია“ ივ. თარხნიშვილის მოღვაწეობას.

მიხეილ სააკაშვილი





# მედიკალი

კომე ჯაპრიშვილი

ნაბ. ზ. ლეჟავასი

— ზოდა, კიდევ უკეთესი: ქვრივ-ოხერი და ხეიბარი ცოტაა თუ? ადექით და აძლიეთ პენცია და შეინახეთ.

არ გასჭრა ოსტატის სიტყვამ და ერთ მშვენიერ დღეს იუბილემ მაინც გადაუხადეს. ...ვატომ ძლივს იცნო პაპა ვახტანგი. საზეიმოდ მორთულ სცენაზე, დიდი სავარძლის გვერდზე იდგა კოსტუმში გამოწყობილი პატარა, ჩია მოხუცი და ისე კუშტად უყურებდა ყველას, ვინც მას ესალოებოდა, თითქოს რაიმეს ცუდსა და საწყენს ეუბნებოდნენ.

მაგიდას სულ უცნობები უხსდნენ. თავისი მამა და პაპა ვახტანგის განუყრელი მეგობარი ძია გიორგი ძლივს იცნო ვატომ ამდენ უცნობ ხალხში.

ყველანი ტაშს უკრავდნენ და ვატოც ცდილობდა არ ჩამორჩენოდა. მერე ის ახალგაზრდა კაცი ლაპარაკობდა, დედამ რომ თქვა — მინისტრიაო... ბევრი ვერაფერი გაიგო ვატომ მისი ლაპარაკიდან:

— პირველი ხუთწუდედები... თავდადებული შრომა... გელაქების მშენებელთა დინასტია...

მინისტრმა ვატოს უფროსი ბიძა — არსენი ახსენა, სადღაც ციხიბრში რომ ელექტროსადგურს აშენებს და დარბაზში ისევ ტაში ასტეხებს, მერე ძია არჩილი — ქუთაისელი ინჟინერი, და ბოლოს ვატოს მამა შაქრო — „ჩვენი ტრესტის მთავარი ინჟინერი“ და ახლა ხელახლა ატყდა ტაში...

პაპა ვახტანგი კი გაუნძრევლად იდგა და გაჯავრებული სადღაც შორს იტყობოდა. არც მაშინ გაეხსნა შუბლი, როდესაც მინისტრმა ხელი ჩამოართვა, გადაეხვია და მთავრობის ჯილღო გადასცა.

მხოლოდ ერთხელ გაეღიმა პაპას და კინაღამ გაეცინა კიდევაც, მაგრამ ისევ შეტკრა კოპები, — მინისტრმა გამოაცხადა — სიტყვა ეკუთვნის ჩვენს უხუცეს ქვის ოსტატს გიორგი შარქაძესო. ძია გიორგი მივიდა პაპა ვახტანთან და ისე დაიწყო ლაპარაკი — თითქოს კვირა დღეს ვახტანგთან თალარში საუფლებს უზის და ქიქით ხელში ძველ ამბებს იგონებსო:

— ჩვენი ოსტატი — ორშაურა ხომ გახსოვს? აბა, რა გაცინებთ? ასე ვეძახდით, თორემ ნამდვილი სახელი ბაგრატა ერქვა, მარა ასე ჰქონდა შერქმეული, რადგან თითონ ყველას „ორშაურა ბიჭებს“ ვეძახდა... თექვსმეტი წლისა თუ ვიქნებოდით, მეც და ეს ბიჭიც, სოფლიდან რომ ჩამოვდიდით და მუშაობა დავიწყეთ. ორშაურასთან გავგვანენს, ერთი აგვხედ-დაგვხედა, მერე ხელში თაბახი აიღო — ამას რა ქვიაო? გვკითხა. — თაბახიო, — ვუპასუხეთ, — ზოდა, ცარიელი არა ვნახოვო.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ. მეტი აღარაფერი გვთხრა — გავიდა ახლად ამოყვანილი კედლის ხარაჩოზე და... დაიწყო ჩვენი უბედურება და ქაპან-წყვეტა: ორშაურა კუთხის ამოყვანას შეუდგა. ორი მუშა აგურს აწოდებდა. მე და ეს ბიჭი თაბახებით დულაბს ვეზიდებოდით. ავიტანდი, დავუდგამდი ოსტატს. გადმოაპირქვავებდა. ქაფის ერთი მოსმით გაასუფთავებდა და გადმოვიგებდა. ეს იყო სამოცი წლის წინათ. მე ვერ გავუძედი ამ საქმეს და ქვის თლაზე გადავედი, ვახტანგი — კი ორშაურას აღარ მოშორდა — იქვეს წელიწადი შეგირდად იმუშავა. მერე — კი, ვინ იცის, რამდენი მილიონი აგური და ქვა დაუწყვიტა ამ კოურიანს ხელებით.

ამასობაში ვატოს ჩაეძინა და როდესაც გაეღვიძა, დარბაზში ისევ ტაში იყო. პაპა ლაპარაკობდა. ისე ბორძიკითა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ისე გაჭირვებით ისროდა სიტყვებს, რომ ვატოს თვალზე ცრემლი მოადგა — ამიტომ არ უნდოდა პაპას იუბილე, — გაიფიქრა და ბებიას ხელს ჩაებლაუქა.

2. ეს ამბავი ზამთარში იყო. ახლა — კი ზაფხულის დილაა, ფანჯრებიდან მწვანე გორაკები მოჩანს, მათ უკან მწვანე მთები და, კიდევ უფრო იქით, ლურჯი ქედები და შორეული თეთრი მწვერვალები.

ნეტა როდისა სძინავს პაპა ვახტანგს? მესამე სართულიდან ვატო ხედავს, რომ პაპას დღეს უკვე ეზოს მთელი მარჯვენა მხარე გადაუბარავს. პაპას უკვე ბაზარიც მოუვლია. — საშარეულოში ბებიას ამოულაგებია კალთიდან მწვანელი, მაგიდაზე გაუშლია, არჩევს.

— ნეტა, ამდენი რად უნდოდა? — ბუტბუტებს ბებია, ისევ თავის ძმაკაცებს შეხვდებოდა... ვატომ იცის, რომ ბაზარში სიარული არც ისეთი უბრალო საქმეა. იმ კვირა დღეს, პაპამ რომ ბაზარში წაიყვანა, ორ საათს მაინც მოუნდნენ მწვანელის არჩევას. პაპა ყველას იცნობს, ყველას უნდა გამოეღაპარაკოს.

მოხუცები ხელს ართმევენ, შინაურებს მოიკითხავენ, პაპას ყველა ახსოვს:

— რა ქენი, ერეკლე, ახალი სახლი-სა?

— კრამიტსა გუზრავთ და ი პატარა ბიჭი ვადადის. მე კი ჩემი დეე და წუთისოფელი იმ ქერქვეშ გამოტარებია, შვილები და შვილიშვილები იმ კედლებში დამიჭრდია და იმ შენ აშენებულ სახლიდან უნდა გამომასვენოთ, ოსტატო!

ვატო იქ არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ იცის, რომ წაფკისსა და კუმისში, წალასყურსა და თელეთში, დიღომსა

და წოდორეთში, გლდანსა და ავქალაში, ლილოსა და ნორიოში პაპას ათასი ოჯახის ფუძე ჩაუყრია, ათასი კედელი ამოუყვანია, ათასი ახალი კერა დანთებულია პაპას ხელით გადახურულ ქერქვეშ და მისი ხელით აგებულ ბუხრებიდან ამოსული ბოლი ამცნობდა ყველას, რომ კიდევ ახალი კომლი შეემატა სოფელსა და ქვეყანას.

3. პაპა-შვილიშვილი მიჰყვებიან ქუჩებს. პაპას ფეხით უყვარს სიარული. მილიან ნელა, აუჩქარებლად. ვატოს მაგრად აქვს ჩაქიდებული ხელი პაპას კოჭრიან თათში. პაპა სულ ზევ-ზევით იუყრება. ათვალიერებს სახლებს. შეჩერდება, დააკვირდება, თვალს მოჭუტავს და კედლის გაყოლებით გახედავს, თითქოს ეეჭვებო მისი სისწორე. ყოველ ახალ მშენებლობასთან პაპა შედგება და კარგა ხანს ათვალიერებს იქაურობას.

თვალზე ხელს მოიჩრდილებს და მაღლა აიხედავს, ხარაჩოებს თვალს გადაავლებს.

— აბა ერთი, გეთაყვა, სამუშაოთა მწარმოებელს დაუძახე, — ეტყვის რომელიმე მუშას. პაპა ვახტანგის დანახავზე ბევრს შეიცვლება ხოლმე გუნება.

— ეს აგური რომ ეგრე დაგიტვრევით და დაგიყრით, განა როგორაა, — მუქთად ხომ არ გაძლევინ? — წუნარად ეკითხება პაპა. რომელიმე ახალგაზრდა ინჟინერი ან ტექნიკი შეკამათებას რომ დაუპირებს, პაპა გაჯავრდება.

— რა ჩემი საქმეაო? მაშ ვისი საქმეა? უფროსები გყავს და იმით იციან? ზოდა, შენ უფროსებსაც ვეძებო, განა იმათი მეშინია? აქ რამ მომიყვანა და... თქვენმა უხეირობამ! სანაპიროზე მოვდიოდი და თვითმცლელი დავინახე, გაჭი მოჭქონდა. უკან კვალი რჩებოდა. იმ კვალს გამოვყე და აქ მომიყვანა. აბა, ერთი ქალადლი მაჩვენე, რამდენაზე მოუწერე ხელი. „სამი ტონაო“, მანდ რომ ორიც არ იქნება, გვაში დაუფანტია. მერედა რა შენი გადასახადია, არა? კარგი, გეთაყვა, იმ შოფერსაც მოვძებნი — ნომერი აქა მაქვს ჩაწერილი.

ვატომ იცის, რომ საღამოს, სახლში მამას და პაპა ვახტანგს ლაპარაკი მოუვთა. მამა ტრესტის მთავარი ინჟინერია, ბევრი მშენებლობა აბარია, მაგრამ როდესაც პაპა ვახტანგი გაჯავრებულია, მამა მხოლოდ თავს იმართლებს.

გვიან, ღამით ვატოს ხშირად ესმის პაპას ხმა:

— ძალიან ბევრი გაქვთ და ქარს ატანთ?! ის თაბახირი გარეთ რამ დაგაყრევინათ?

— კი, მაგრამ, მამა, ეგ მშენებ-

1. პაპა ვახტანგს „დიდ ვახტანგს“ და მის შვილიშვილს ვატოს — „პატარა ვახტანგს“ ყველანი იცნობენ დედაქალაქის ამ ახალ უბანში.

პაპა ვახტანგი უბნის პირველი მოსახლე იყო, ვატო — კი ამ უბანში დაბადებული პირველი მოქალაქე. ვატოს ექვსი წელი შეუსრულდა, როდესაც პაპა ვახტანგს, მუშაობის ექვსი ათეული წლისთავისა და 75 წლის შესრულების გამო, იუბილემ გადაუხადეს. ეს „იუბილემ“ ვატოს ჯერ რაღაც საშინელ ამბად მოაჩნდა, რადგან წამოიწყებდნენ თუ არა მასზე ლაპარაკს, პაპა ვახტანგი აღელდებოდა, აყვირდებოდა:

— რის იუბილემ, რა საღამო! პანა-შვიდი გინდათ გადამიხადოთ და ამ ოთხ კედელში დამასამაროთ? თუ თავი მოგაბეზრეთ და აღარ გინდივართ, მითხარით და სამუშაოს სხვაგანაც გამოვნახავ! ამ ხელებში ჯერ ძალა არ გამომღვია!

ორივე მუშტს ისე დაჰკრავდა მაგიდაზე, რომ ქუურქებლს შეახტუნებდა და ბებია ვედრებით ეტყოდა ვატოს მამას — პაპა ვახტანგის უმცროს შვილს:

— კარგი, შვილო, შენი ქირიმე, თავი დაანებე, სანამ ხარაჩოებიდან არ ჩამოვარდება, ხომ არ მოეშვება...

— ზოდა, ეგრე! — გამარჯვებულად დაუდასტურებდა პაპა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენებდა:

— ვიცო, ვისი საქმეცაა. ნეტა ვიცოდე, ეგ შენი კადრები რას გადაიქცევა? სულ იმას გაიძახის „პენცია და პენციაო“, კაცო, მე ხხვის ხელში შემეყურე როდის ვიყავი...

— სხვა, რა შუაშია? პენსიას სახელმწიფო გაძლივს...



ლობა ხომ ჩვენ ტრესტი არ შედის, და რა უფლება მაქვს, რომ ჩავერიო...  
— რაო? „უფლებათა!“ „შენთან არ შედის“, მაშ ეგრე — სხვა ფოდრაჩიკისა! შენც ხომ ბარნაბა ფოდრაჩიკი არა ხარ — მარტო თავისკენ რომ იწვევდა, სხვისი არა ესაქმებოდა!

— კი, მაგრამ, არც ასე შეიძლება! — მაშ ისე შეიძლება, არა, — წყნეთის ქუჩაზე საკედლო აგური არა ჰყოფნით, ეწოში კი ნამტვრევები ზეინად დავს. ათასი ცალი რა ღირს? ოცდათხუთმეტი თუმანი. აბა, აქ უყურე, პაპა ვახტანგი სათვალეს იკეთებს და უბის წიგნაკში იხედება. — ხუთი ათასი აგურის ნამსხვრევი მაინც ჰყრია. ესეც შენი ას სამოცდათხუთმეტი თუმანი... ბარნაბა ფოდრაჩიკი-მეთქი რომ ვითხარი, ბარნაბა მგელი იყო, მაგრამ საქმის ყადრი იცოდა. ერთი აგური რომ გდებულყოფო, თავისი ხელით აიღებდა და მოგაწოდებდა: „ოსტატო, აგური დაგვარდნია და დაგაკლდებო“.

პაპა-შვილიშვილი ძია გიორგისთან მიდიან სტუმრად. ძია გიორგი ქალაქის მეორე განაპირის ცხოვრობს პატარა სახლში. წინათ ეს სახლი მარტოდმარტო იდგა მინდორში, ახლა კი გარშემო რამდენიმე დიდ შენობას აგებენ და, რაც უფრო მაღლებდა მათი კედლები, ძია გიორგის

სახლი დიდია, უშველებელი. ეს ორი ჩია, კუსპარა მოხუცი — სულ პატარები არიან და ძნელია იმის დაჯერება, რომ ეს ვეებერთელა შენობა ამათ ააშენეს. მაგრამ ვატომ იცის, რომ ეს სახლი მათი ხელითაა აგებული. ძია გიორგი ხელს გადაუსვამს კედლის ზედაპირს, თითქოს ეალერსება, ისე უცაცუნებს სორკლიან ქვას.

— თუ გახსოვს, ვახტანგ...  
მერე ისეც მიჰყვებიან ქუჩებს, ნაწვეტ-ნაწვეტ იგონებენ ძველ ამბებს და ვატოს სჯერა, რომ ამქვეყნად არ არის უფრო შესანიშნავი ხელობა, ვიდრე კალატოზობა, ქვისშთლევობა, ხუროობა, ახალი სახლის აშენება. სჯერა, თუმცა ჯერ არ იცის, რომ ამ ათასჯერ აოხრებულ და დანგრეულ ქალაქში მშვიდობისა და ცხოვრების განახლების პირველი მაუწყებელი კალატოზის ჩაქუჩის ხმა იყო, რომ კალატოზის გამრჯე ხედებსა და ზუსტ თვალს უნდა უშადლოდეს ხალხი და ქვეყანა მიუფალი ციხე-გალავნების, მტკიცე ხიდების სულ პატარა ქოხების და დიდებული სასახლეების აგებას, რომ ეს ხელები აშენებდნენ და იტკიცებდნენ იმას, რაც ბრძოლითა და სისხლით იყო მოპოვებული...

დღესაც, როგორც ყოველთვის, ძია გიორგი თალარში იჯდა და წიგნს კითხულობდა.

— გამარჯობა, გიორგი! — მიესალმა პაპა.

— გამარჯობათ, ძია გიორგი, — ხმა მისცა ვატომაც. ძია გიორგის ხმა არ ამოუღია, თავი არც აუღია. პაპა ვახტანგი შედგა და უფრო ხმაშაღლა შეესხინა.

— ბიჭო, გიორგი, გამარჯობას რომ გეუბნებიან, არ გესმის?

— რაო, რა ამბავია?

— რაღა რა ამბავია! ღვთის მადლი და გამარჯვება რომ აღარ გესმის, დაყრუვდი, თუ რა მოგივიდა?

— მე გიორგი აღარა მქვია...

ახლა კი პაპა სულ შეცბა.

— მა, რა გქვია, ბიჭო?

— რა მქვია და ბარემა?

— რა ბარემაო, რეებს ამბობ?

— რა ბარემაო და დილიდან საღამომდინ ეს მესმის — „კაცო, არაფერს აკეთებ და, ბარემ, გაიარე და ელექტრონის ფული შეიტანე“, „მამა, რომ გაისეირნებ, ბარემ, მალაზიაში შეიარე“, „მაინც შინა ხარ და, ბარემ, ბაღს მოუარე“, „ბარემ, მოიტანე“, „ბარემ, წაიღე“, „ბარემ, მოდი“, „ბარემ, მიდი!“ არა, ძმაო, მე ახლა ბარემა მქვია!

პაპას ჯერ გაეცინა, მერე კი სახე ჩამოუღამდა და გვერდზე მიუჯდა ახსანავს.

— ემ, ჩემო გიორგი, ბარემ რომ არ არის კარგი, მაგრამ, აბა, მეტი რა გზაა — ჩვენ ჩვენი ვქენით, ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია და ახლა მაგათიც ვნახოთ...

— რა უნდა ნახო, ვახტანგ ჩემო! ავტო ხომ ხედავ — დიდი კოშკი რომ ჩანს, ორასბინიან სახლს აშენებენ. მანდ ჩვენი ოტია — კალატოზი მუშაობს. დილიდან დიდ საქმეში იყვნენ. ორი-სამი საათი წაიმუშავეს და გაჩერდნენ, აშვე აღარა მუშაობსო.

კარგი და პატოხანი, სანამ აშუშავდება, ხელი გაანძრით... არა, რაღაცას ელიან. ის შენი ბიჭიც, ეტყობა, ყურადღებას არ აქცევს...

პაპა ვახტანგს უსიამოდ დაეღიქა სახე.

— ეემ, გიორგი, აბა ყველას სად გასწვდეს... თითონ უნდა გაისარჯნენ. დამაცა ერთი, გავხედო, რა ამბავია...

4.  
მშენებლობაზე სიჩუმე იყო. პაპა ვახტანგმა შეაღო ჭიშკარი და გაიხედ-გამოიხედა. ფარდულთან მიწაში ჩაფლულ წყლიან კასრთან მუშებს მოეყარათ თავი და თამბაქოს აბოლბებდნენ. პაპამ ჯერ იქვე მერსზე ჩამოქადავდა ოტია ოსტატს ჩამოართვა ხელი, მერე ბიჭებს მიესალმა. პაპას სალამზე, — „გავიმარჯოსო“, — არეულად უპასუხეს.

— რა თავ-პირი ჩამოგტირით ყარაჩების ათსახოჩასავით? — ბიჭებს გაეცინათ, — რაო, რა მოგივიდათ. — მიმართა პაპამ ერთ სუფთად ჩაცმულ ახალგაზრდას.

— რა მოგივიდა, პაპა ვახტანგ, და მექანიაციამ გვილატა. აშვე არა მუშაობს. მექანიაკოსი გვიპირდება — ხვალ დილას თუ არა, საღამოსთვის კოშკს ავაშუშავებო, სათადარიგო ნაწილები შემოვიღია, ხომ იცით მექანიაკოსების ამბავი...

გვერდწითელმა დაპირა ლაპარაკი სხვა არხში გადაეგდო, მაგრამ პაპა ვახტანგმა არ აცალა.

— მოიცა! — მოუტრა და ახლად ამოყვანილ კედლებს გახედა.

პირველი სართული დაესრულებინათ და აქა-იქ მეორის წყობა წამოეწყით. შენობის გასწვრივ, დაგებულ ლიანდაგზე, ამწის მძლავრი კოშკი ამართულიყო, ცაში აწვდნილი თითქოს ღრუბლებს ეთამაშებოდა, მაგრამ ახლა მის ისარზე ტორები უღონოდ იყვნენ ჩამოშვებულნი და ამ მსუბუქ და მოხდენილ ნაგებობას, ასე ადვილად რომ აიტაცებდა ზოლმე ასეული აგურით დატვირთულ ბაქანს, ახლა უქმად რომ იდგა, თითქოს შნოცა და სილამაზეც დაკარგოდა.

— მოიცა, მოიცა, მერედა ხვალ საღამომდე რაღას აკეთებთ?

— აბა, რა უნდა გავაკეთოთ, ტერიტორია დავალაგებო, მერე კი გაცდენაზე ვართ, პაპა ვახტანგ... ვცდებით, მაგრამ მექანიაკმა თქვა, რომაო...

გვერდწითელმა შეატყო, რომ პაპა ვახტანგი რჭულამდე ჩაჰყვებოდა, ამიტომ კითხვას აღარ დაუცადა და წვრილ-წვრილად დაულაგა ყველაფერი: ისიც უამბო, რომ საკისარები გადაეწვიათ, რომ მშენებლობის საწყობში ამ ზომისა არ იყო, რომ მომმარაგებელი საბაზო საწყობში წავა ხვალ და, თუ იქაც არ აღმოჩნდა, მაშინ... პაპა ვახტანგი თან ყურს უზღებდა, თანაც ბიჭებს დაკვირვებით ათვალიერებდა.

— ჰო, კარგი, შენ ეს მითხარი, სანამ ეგ შენი აშვე აშუშავდება, ეს ბიჭები რომ ცოტა გაისარჯონ და ხელით მიაწოდონ აგური, მითომ რა მოუვათ?

— არაფერი მოუვათ, მაგრამ ხე-



ლით მოწოდებაზე სულ სხვა ნორმებია. გამო-მუშავება სხვაა...

ნორმაო ბიჭო, არის-ტო! ეგ მარტოუჩაო-ბა ვინ გასწავლათ? პატარა ბიჭობიდან მახსოვხარ — ციცილი იყავი და ეგრე აღრე როგორ მოიმწვანდებ? აბა, ერთი ამ ბიჭებსაც ვკითხოთ...

— ემ, პაპა ვახტანგ, — სხვა სხვის ომში ბრძენიაო...

— მაგ „სხვაში“ მეც ხომ არ ჩამაგდე? — გაჯავრდა პაპა.

— არა, მაგრამ.

— მაშ „სხვისი ომია“ არა? მაი „სხვისი ომია!“ — იმეორებდა პაპა და თან პიჯას ისდიდა. — მითომ რაო, ოტია, ჩვენ ჩვენი ცხოვრების შულო ამოგახვიეთ და გათავდა! ახლა „სხვისი ომია“, ჩვენ — კი...

არისტოს ენაზე აშრებოდა სათქმელი, მაგრამ აღარაფერი თქვა. იმასაც ფიქრობდა, ამ ამბისათვის უფროსი კაი დღეს არ დააყენებდა, თანაც ამაგდარ ოსტატსაც ვერაფერს უბედავდა. ხედავდა, პაპა ვახტანგმა, რომ იტყვიან, თავზე ქვა გადაიგორა და ახლა უკან ვინ დაახევიებდა!

ესლა მოახერხა:  
— სირცხვილი არ იქნება, ამ მექანიაკოსებზე მშენებლობაზე — აგური ხელითა ვზილიო!

— სირცხვილი, იცი, რა არის? აბა, გახედე — ეს ვის დაუწერია?

გვერდწითელმა თვალი გადადევნა და პირველი სართლის სიმაღლეზე გაქიმულ წითელ ნარჩაზე ამოიკითხა „დვამთავროთ მშენებლობა თბილისის 1500 წლისთავისთვის!“

— როგორ თუ ვისი! ჩვენი დაწერილია, — ასე გადაწვევით, რომ გრაფიკზე აღრეც უნდა ჩავაბაროთ მოსახლეებს.

— მაშ „გრაფიკზე აღრე“, — პაპამ თვალები მოქუტა, ბიჭებმაც ღრეკა დაიწყეს.

გვერდწითელს რჩომა-კვდომის დღე აღდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა:

— გრაფიკს დავეწვიათ, მაგრამ რა ვქნათ, რომ მექანიაკოსის ხელში ვართ. უშვილო ბიძასავით ვეფერებით... — მოჰყვა გვერდწითელი, — მაგრამ პაპა ვახტანგი ყურს აღარ უზღებდა.

— მითომ რაო, ოტია, ეს ბიჭები ჩვენზე ნაკლები რითი არიან?

— იმ, ნაკლები როგორ არიან! პაპა ვახტანგმა გაიხადა საგარეო



სახლი უფრო პატარა ჩანს.

პაპა ვახტანგი და ძია გიორგი დასხდებიან თალარში, დაიდგამენ ერთ ბოთლ ღვინოს და მოჰყვებიან საუბარს... მოხუცების საუბარი თითქოს უღიმღამოა და უმნიშვნელო, მაგრამ ვატომ იცის, რომ ყოველ სიტყვას სხვა რაღაც მნიშვნელობა აქვს, მარტო მოხუცებს რომ ესმით...

„ხანდახან სამივენი ერთად გაისეირნებენ, რომელიმე დიდ სახლთან შესდგებიან. პაპა ვახტანგი ახედავს და იტყვის:

— ბიჭო, გოგია, გახსოვს...

— რავა არ მახსოვს, შე კაცო, ზოგიერთივით კი არ გამოვჩერჩეტებულვარ.



პიჯაკი, გულდასმით დაეცა და იქვე მერსზე დასდო.

— შენ პატარა ხანს აქ დაჯექი, — ესლა უთხრა ვატოს და ბიჭებს მიუბრუნდა:

ვატო ხედავდა, როგორ აფუსფუსდნენ მუშები. გვერდწითელი კადევ რაღაცას ეუბნებოდა პაპას, არწმუნებდა. მერე ხელი ჩაიჭინა და ისევ მოთავეობა არჩია — განკარგულების გაცემა დაიწყო.

ხარაჩოვზე გასული პაპა ვახტანგი რომ დაინახა ვატომ, ვეღარ იცნო — პაპას ახალთახალი უხმარი ფეშტამალი აეფარებინა, ზომაზე დიდი ჰქონდა, თანაც გაუტხავია.

პაპა დულაბსარევ მანქანასთან მივიდა, ქაფჩით დულაბი ამოიღო, სისქე გაუსინჯა, ხელით მოსრისა და გოლით მემანქანეს ქვევიდან შეხედა:

— ამასაც საკისარები ხომ არ მოეშლება?

მერე აგურის შტაბელბთან მივიდა — ბიჭებს უკვე ჭინები მოეტანათ და აგურს უდებდნენ.

— აბა, მარჯვედ იყავით! — შეაგულიანა პაპამ, მერე ისევ ხარაჩოვზე გავიდა. ვატო ხედავდა, როგორ ნელ-ნელა ჩამოუარა პაპამ კედელს, მუხლამდე რომ სწვდებოდა და მხოლოდ კუთხესთან იყო ოდნავ ზევით ატანილი, მერე მიუჩინა ადგილი ოტია ოსტატს, თვითონ კუთხეზე დადგა. ამ დროს ბიჭებმაც აგური ამოიტანეს და ჭინზე გაწყობილი ვარცლით დულაბიც დაუდგეს.

პაპამ ერთი აგური აიღო ხელში. შეაგლო ჰაერში, დაიჭირა, მერე ქაფჩით დულაბი ამოიღო, კედელზე გაშალა და აგური კი არ დასდო, კი არ მოარგო, მოწყვეტით დაახეთქა დულაბის შრეზე. მერე ქაფჩის ტარით ოდნავ დაჰკრა და ახლა მეორე აგურს დასწვდა და გვერდზე მიუგდო იმ პირველ აგურს. პაპა თითქოს თამაშობდა ისე ადვილად და მსუბუქად ათამაშებდა ხელში აგურებს და ერთმანეთს გვერდზე უწყობდა, — გეგონებოდა წონა არა ჰქონდაო, ხანაც ჩაქუჩს მიაშველებდა. ერთი დაკვრით გადატხავდა აგურს. ნახევარ-აგურს ხელში შემოაბრუნებდა, ერთი-ორი შემოკვრით უსწორო მონატებს გაასწორებდა და მერე ისევ მიჰყვებოდა კედელს...

ვატომ ახლა ოტიას შეხედა. ისიც თავაუდებლავ მუშაობდა, მხოლოდ ხანდახან გვერდელად გახედავდა პაპა ვახტანგის ნაშუშევარს და ისევ განაგრძობდა აგურის წყობას.

ვატო ჭერ ოსტატების მუშაობით იყო გართული, აგურისა და დულაბის მომწოდებლებს უცქირა კარგა ხანს, მერე მოსწყინდა და ფარდული-სკენ გასწია. კარი შეაღო. პატარა ოთახში მაგიდასთან გვერდწითელი იჯდა და ტელეფონს ჩასძახოდა:

— არაფერიც არ ვიცი! ახლავ გემოცხადლით და უზრუნველყავით მემანქანაში! — დაამთავრა და ვატოს შეხედა.

— ოპ! ვახტანგ ზახარჩის გაუმარჯოს! ხომ არ მოგწყინდათ? რაო, გწყურია? წყალი რა საკადრისია! ასეთ პატივსაცემ სტუმრებისათვის ლიბონათი მაქვს შემონახული...

მერე ისევ აწკარუნდა ტელეფონი. ვატო ლიბონათის სმაში იყო გართული, როდესაც კარი შემოიღო და ფარდულში ვატოს დედა და მამა შემოვიდნენ. დედამ ვატო აიტაცა ხელში, მამაკი გვერდწითელის ახსნა-განმარტებას ისმენდა და ვატოს ვერ გაეგო, ჯავრობდა თუ ეციებოდა მამას. მერე მამა ტელეფონთან დაჯდა, ამოიხვნეშა, როგორც ჩანს, ფრიად საძნელო საქმეს უნდა შესდგომოდა — მამამ კი ვატოს და დედამისს მიუბრუნდა:

— აბა, თქვენ წადით, ბებია დააშოშინეთ. უთხარით — ყველაფერი რიგზე-თქო. მე ნუ მიცდით.

— კი, მაგრამ... — წამოიწყო დედამ.

— აბა, ასე, როგორც ვითხარით... დედაჩემს უთხარით ოსტატს ვახტანგი დაახვედრეთ-თქო.

ვატო და დედა მანქანაში ჩასხდნენ.

5.

მშენებლობაზე კი ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა. პაპა ვახტანგი თავაუდებლავ მუშაობდა, ოთხი რიგი აგური ჰქონდა დაწყობილი, გვერდწითელმა ნახაზი ამოუტანა და ფანჯრების ღიობები გადაუშომა.

პაპა ვახტანგი თავს არ იღებდა, მაგრამ ცალი თვალით ხედავდა, როგორ შევიდა ფარდულში მისი შვილი, მერე ტრესტის მთავარი მექანიკოსი გაჩნდა საიდანაც, მერე ზეინკლების მთელი ბრიგადა მოვიდა.

უკვე ბინდებოდა. ანთო პროექტორები, აგურისა და დულაბის მიმწოდებელი ბიჭები შეიცვალნენ, პაპა და ოტია ოსტატი კი ისევ განაგრძობდნენ წყობას. მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდა პაპა ხარაჩოვბინდან, აგურის შტაბელბს ჩამოუარა, აგურის მზიდავ ბიჭების მუშაობას გადახედა და ერთი მადლიანად შეუკურთხა.

ბიჭები მთელ-მთელ აგურებს არჩევდნენ, ნახევარაგურები და მონატები იქვე ეყარა.

— თქვე ღმერთ-ძაღლებო, ე აგურს რომ არ უფრთხილდებით, ეს ბერიკაცი მაინც შემიცოდეთ, — ხელები დამწყდა აგურის მტვრევით.

მერე ისევ ხარაჩოვზე გავიდა და წყობა განაგრძო.

ამწის საფუძველთანაც მუშაობა იყო გაჩაღებული. დაშლილი მანქანის ნაწილები გაშალეს ფიცარნაგზე, — ერთ ხანს შეფერხდნენ, მერე საბარგო მანქანით სახეგაბრწყინე-

ბული მექანიკოსი მოვიდა და მოახსენა შაქროს:

— პარდაპირ პირიდან გამოვვლი-ჯე, საწყობი დალუქული იყო, გავახსნევი, ხელწერილით მომცა და ხვალვე გავაფორმებთ.

პაპა ვახტანგი ყველაფერს ხედავდა, მაგრამ არ იმჩინებდა. შვილის გაჩვენებულ ხმას მოჰკრა ყური და ნიშნის მოგებით ჩაიცინა კიდევაც: თითქოს ამბობდა — „რაო დატრიალდით, სინდისმა შეგაწუხათ?“ შაქროს ახლოსაც არ მისულა მამასთან. ხან ფარდულში შედიოდა, ხან ზეინკლებს ადგა თავზე.

პაპა ვახტანგმა, ჭიშკარში შემოსული კადრების განყოფილების უფროსი რომ დაინახა, სულ გამხიარულდა და ბიჭებსაც კი გაეხუმრა:

— აბა, აგური დროზე მომწოდეთ, დულაბი არ გამიცითო, თორემ პენციაზე გადაგიყვანთ!

და ხელში აგური შეათამაშა.

ამწის კოშკთან უკვე აწყობაც დაემთავრებინათ, ამწის მემანქანე თავის შუშის გალიაში გასულიყო და როდესაც პაპა ვახტანგს აგური შემოაკლდა, თავი აიღო და ის იყო ბიჭებისთვის უნდა დაეცახანებინა, რომ ამწის ისარი ადგილიდან დაიძრა და აგურის შტაბელბს გაუთანასწორდა.

გვერდწითელი ქვევიდან ხელით ნიშანს აძლევდა. სახილი ბაქანი აგურების გვერდზე დაეშვა. ბიჭებმა სწრაფად დატვირთეს, და ამწემ ბაქანი ჰაერში აიტაცა. მერე დაიწყო ისრის შემოტრიალება. ბაქანი ხარაჩოვს გაუსწორდა და იქვე პაპა ვახტანგის გვერდზე დაეშვა.

ხარაჩოვზე შაქროს და კადრების უფროსი ამოვიდნენ.

— აბა, მამაჩემო, მორჩი, მალე ცვლაც თავდება...

— ჰოდა ცვლის გათავებამდე ამ აგურსაც დავაწყობ, რაც მოესწრება...

— კარგი ახლა, ბატონო, ამ ამწესაც ხომ არ უპირებ შეჯიბრებას!

— არა, შვილოსა, მე არც მაგ ამწეს ვეჭიდები და არც ვინმეს ჭიბრში ვუდგავარ, მაგრამ თქვენც ხანდახან ოწინარით ასაწვევი ყოფილხართ, ისე მძიმედ ირჭებით, თორემ მე მაგის ჯანი და ღონე სადა მაქვს.

მერე კადრების უფროსს გახედა და ისევ შაქროს მიუბრუნდა.

— შენ ეს მითხარი, განცხადება დავწერო, თუ ისე გამაფორმებთ, თორემ კანტორაში სიარული მიეზარება, — ხვალ პირველ ცვლაში ვარ გამოსასვლელი...



რა მოხდა გუბენკალში?

1944 წლის 28 სექტემბერს ადრე დილით, ავტომანქანით შაროტენბერგიდან წამოიყვანეს. გზაში, მგონი, ეს პლენცენზე იყო მოხდა, ტიხრებით დაყოფილი ციხის მანქანა დიდხანს გაჩერდა. რამდენიმე პატიმარი, რომლებიც მანქანის გაჩერებამდე ხმამაღლა საუბრობდნენ, ძირს ჩამოსვეს, მანქანაში მარტო მე დავრჩი. ჩემი საკანი პირდაპირ მძღოლის კაბინას ესაზღვრებოდა. თხელი ტიხრიდან ყველაფერი მესმოდა, რასაც ერთმანეთს ეუბნებოდნენ.

ერთმა თქვა: „წაიკითხეთ, ბუხენვალდი დაუბოძავთ, რას იტყვი ამაზე, სწორედ ტელმანი და ბრატიშვილი ამოუღიათ მიზანში და მოუკლავთ“.

პირველად გონს ვერ მოვედი, ვფიქრობდი მამას ბუხენვალდში რა უნდოდა-მეთქი. იგი ბაუცენში მეგულებოდა. მაგრამ მამაჩემზე ფიქრები არ მასვენებდა. მათ კედელზე დაეშვაკუნე და კვითხე:

— გეთაყვა, რას ამბობდით ახლა? ვინ დაიღუპა ბუხენვალდში?

— რატომ გაინტერესებთ ეს? — მიპასუხეს მათ.

ექვით შეპყრობილმა მეორედ გვითხერ: — გეთაყვა, მითხარით, რა მოხდა ბუხენვალდში?

მათ მეორეჯერ მკითხეს:

— რატომ ხართ ასე დაინტერესებული?

გულისკანკალით ვუთხარი:

— ერნსტ ტელმანი ხომ ჩემი მამაა. უნდა ვიცოდე! გათხოვთ სიმართლე მითხრათ.

— ეს რომ ჩვენ გვეცოდნოდა, ამაზე არ ვილაპარაკებდით. მართლაც, გაზეთებში სწერენ, საპაერო თავდასხმის დროს ერნსტ ტელმანი დაიღუპაო.

როგორ მოკლეს ერნსტ ტელმანი

მალე დედაც ვნახე, მაგრამ მღუმარედ და სველიანად შევხვდით ერთმანეთს, რადგან მამა აღარ დაგვხვდა აქ. ჩვენ გვეჯეროდა, რომ მამა ცოცხალი იყო, მაგრამ ბოლოს სამწუხარო ცნობა მივიღეთ, ფაშისტებმა მოკლესო.

ჩვენ გვიან გავიგეთ ბუხენვალდში მყოფი პატიმარი ამხანაგებისაგან, რომ იმ დროს, როცა ამერიკის თვითმფრინავებმა ბუხენვალდი დაბომბეს, მამა ჯერ ისევ ბაუცენში იყო, შემდეგ ფაშისტებმა დამე ბაუცენიდან ჩუმად წაიყვანეს ბუხენვალდში. იქ 1944 წლის 18 აგვისტოს კრემატორიუმში ჩააგდეს და ლაჩრულად მოკლეს. ბოლოს ცხედარი დასწვეს. მათ უნდოდათ, რომ მისი ნეშოც კი არ დარჩენილიყო ქვეყნად.

იკრა ფესტიმარ-ტელმანი





## ბონლო ალაქიძე

ერთი ცალი მიკროსკოპი, ერთი ლუბა, რამდენიმე ცალი ჰერბარიუმის ბაღე, სათუთუნე კოლოფი და თავისი საქმისადმი, სიყვარულით სავსე გული, — აი, ყველაფერი ის, რაც თან ჩამოიტანა საქართველოში ნ. ნ. სპენსერმა გასული საუკუნის 80-იან წლებში.

აგრეთვე სტაროსელისკისთან ერთად, მან მუშაობა გააჩაღა მშინდელი შორაპნის მარხის სოფელ ქვედა საქარაში, იქ, სადაც დღეს კეთილმოწყობილი ზონალური საცდელი სადგურია. აღნიშნული ობიექტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარმოადგენდა ერთადერთს მთელს მშინდელს რუსეთის იმპერიაში, სადაც წარმოებდა მეცნიერული მუშაობა მცენარეთა დაცვის საქმეში.

აი, შორეული წინაპარი დღევანდელი მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა, რომელიც თავისი არსებობის სამ ათეულამდე წელს ითვლის.

აღნიშნულ ინსტიტუტს, რომელსაც ჩამოყალიბების მეორე წლიდან დღემდე სათავეში უდგას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ლ. ყანჩაველი, დიდი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა აგრობიოლოგიურ მეცნიერებათა გარემავება-განმტკიცებაში.

ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და ტყის მეურნეობას დიდად აზიანებენ მავნებლები — მწერები, თავისებური მღრღნელები, და სოკოვანი, ბაქტერიული და ვირუსული ავადმყოფობები.

პროფესორ ა. ლებედვის გამოკვლევებით ზარალი, რომელსაც მავნე მწერები აყენებდნენ სოფლის მეურნეობას მეფის რუსეთის დროს, ყოველწლიურად 1.500 მილიონამდე ოქროს მანეთს, ე. ი. მშინდელი რუსეთის თითქმის წლიურ ბიუჯეტს უღრიდა.

თავისი არსებობის პერიოდში მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა მოამზადა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის სამსახურში ჩააყენა მეცნიერთა მრავალი თაობა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ საბჭოთა აგრობიოლოგიურ მეცნიერებაში. ამ ინსტიტუტში აღზრდილ მეცნიერთა თაობებს თავიანთი გარკვეული წვლილი შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საბჭოთა აგრობიოლოგიურმა, მიჩურინულმა მეცნიერებამ ბევრი რამ გააკეთა სელექციის დარგში. ბევრი გზა გამოიხატა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდისათვის, მაგრამ რომ მთლიანად შევიწროვებოთ მოსავალი, სხვა ფაქტორებთან თანაბრად დიდი მნიშვნელობა აქვს მავნე მწერების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის სისტემატურად წარმოებას.

ამ მხრივ ინსტიტუტის გამოყენებითი ზოოლოგიის განყოფილებას (გამგე პროფესორ-აკადემიკოსი დ. კალანდაძე) ბევრი აქვს გაკეთებული. სხვა დამუშავებულ საკითხებთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია უკანასკნელ წლებში პურის ბზუალას წინააღმდეგ ჰექსკლორანით თესლის შეწამვლა

თესვის წინ, რამაც სართიქალის (საგარეჯოს რ.) მეურნეობაში ხუთი ცენტნერით მეტი მოსავალი მოგვცა თვითეულ ჰექტარზე, შეუწამლავი თესლით ნათეს ფართობთან შედარებით.

ვის არ სიაშოვებს ზაფხულის ცხელ დღეებში სურნელოვანი და გემრიელი ნესვის მირთმევა. მაგრამ ბევრმა, ალბათ, არც კი იცის, რომ ეს კულტურა განწირული იყო დასალუპავად აღმოსავლეთ საქართველოს მეგობრების რაიონებში გამრავლებული ნესვის ბუჩის მიერ. ამ განყოფილების მიერ ჩატარებულმა საწარმოო ცდებმა შეუნარჩუნა ჩვენს ზაფხულის სუფრას ეს სასარგებლო ნაყოფი. ჩვენს მონადირებს მინდვრებსა და ყანებში ხშირად ხვდებოდა თავისებური მღრღნელების „სახლები“, მრავალსართულად აგებული მიწის ქვეშ. ისინი მილიონობით მანეთის ზარალს აყენებენ სოფლის მეურნეობას. გამოყენებითი ზოოლოგიის განყოფილების მიერ მათ წინააღმდეგ დამუშავებული ბრძოლის ღონისძიებები საგრძნობლად ამცირებენ მათ რიცხვს. ამჟამად ითვალისწინებენ, რათა დარიშხანოვანი შენაერთები შეცვალონ ახალი ზოოციდებით, რომელიც სხვა დანებთან მხარეებთან ერთად ხასიათდება იმით, რომ მისი გამოყენების დროს სასარგებლო ფრინველები არ იღუპებიან...

ვის არ უნახავს ხეზე ყურით მიკრული ნარინჯისფერი, თეთრი ან წითელი ფერის რაღაც სხეული. ეს სოკოა, რომელმაც თავისი განვითარება უკვე დაამთავრა მცენარის სხეულში და ახლა თავისი მიკროსკოპიული გამრავლების ორგანოებს უხვად ფანტავს ბუნების წიაღში.

დიდა მცენარეთა ავადმყოფობების სია, ნაირგვარია მისი ხასიათი. ყველა სახის ავადმყოფობებს, სოკოვანს, ბაქტერიულს და ვირუსულს, იკვლევს და სწავლობს ინსტიტუტის ფიტოპათოლოგიის განყოფილება (გამგე სოფ. მეურნ. მეცნიერებათა დოქტორი ეკ. ერისთავი). აქ სწავლობენ ისეთ სერიოზულ ავადმყოფობებს, როგორებიცაა ხე-მცენარეთა წებოს დენა — „გომოზი“, ვაზის ქლორიზი, ყანგაროვანი სოკოები, რომელიც მუსრს ავლებს ხორბლის ნათესებს, — სიმინდის დიპლოდიოზი და მრავალ სხვას. ამავე განყოფილების ასპირანტი მ. გვრიტიშვილი მუშაობს თავისი მშობლიური კუთხის ქსნის ხეობის მიკოფლორაზე.

ტყეს დიდად აზიანებენ მავნე მწერები და ავადმყოფობანი, ხშირია შემთხვევები, რომ მთლიანად ნადგურდება ტყის მასივები.

ინსტიტუტის ტყის მავნებლებისა და ავადმყოფობების შემსწავლელი განყოფილება (გამგე სოფლის მეურნ. მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი შ. სუპატაშვილი) ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს ამ მხრივ. აქ დამუშავებულია მეტად საინტერესო საკითხები. მათ შორის ისეთი საკითხი, როგორიცაა ნაძვის დიდი ლაფანჯამია, რომელიც პირველად იქნა შემჩნეული ბორჯომის ხეობაში და ფრიალ სერიოზულ მავნებელს წარმოადგენს.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მცხოვრებობისათვის ფრიალ საშიში აღმოჩნდა კვლევის შედეგად თიანა. აღნიშნული განყოფილება ქიმიკოსი იყო გიორგი განყოფილებასთან ერთად აწარმოებს ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დამუშავებას, რათა კვლავაც ამოიცივებდეს მშრომელთა სუფრას ქართული მაღალხარისხოვანი ხილი.

ინსტიტუტის ქიმიკოსი იყო გიორგი განყოფილებას (გამგე, პროფესორი ს. ქარუმიძე) მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა აკისრია. ძირითადად ეს



ი. ბერიშვილი აწარმოებს დაკვირვებას მინდვრის მავნებლებზე.

განყოფილება სწვევებს მავნებლებისა და ავადმყოფობების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებისა და შხამ-ქიმიკატების შერჩევის საკითხს.


მეტად საინტერესოა საკითხი, რომელსაც ამუშავებს ქიმიკოსი იყო გიორგი განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი რ. ხუბუტია. თემა ითვალისწინებს ჰერბიციდების (სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდი) გამოყენებას.

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რაიონებში კარგად ხარობს ძვირფასი კულტურა — ლიმონი. დიდი მუშაობის შედეგად დაძლეული იქნა ის წინააღმდეგობები, რომელიც აფერხებდა ამ კულტურის განვითარებას ჩვენში. დარჩა მხოლოდ ერთი — ლიმონის ხმელა „მალსეკო“ (ფორმა ტრახევილია), რომელიც დიდად აზიანებს ლიმონის კულტურას.

ინსტიტუტის ბიო-ფიზიკის ლაბორატორია აწარმოებს „მალსეკოს“ ტოქსინების რთული ბუნების შესწავლას, რომელიც საინტერესოა არა მარტო ჩვენთვის, არამედ, ყველა იმ ქვეყნისათვის, სადაც კი ლიმონის კულტურა ხარობს. ამავე ლაბორატორიაში მუშავდება რადიოაქტიური ელემენტებით მცენარეთა მკურნალობის საკითხი და ა. შ.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი აქვს მოძვე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებთან. აქ ხშირად ნახავთ წარმოების მუშაკებისგან გამოგზავნილ შეკითხვებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, რომელზედაც პასუხის გაცემას ინსტიტუტის თანამშრომლები ადვილბეზე ჩასვლით ახდენენ.

მ. თარგამაძე აწარმოებს დაავადებული ვაზის მიკროსკოპიულ გამოკვლევას.





# მედიკალინური ატომი ალამიანის მეტოპარია

მუდმივი გამოფენა „ატომური ენერჯია მშენებლობის მიზნებისათვის“ შემთხვევით როდია შექმნილი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. ჩვენმა ხალხმა ხომ ბირველმა აღიმაღლა ხმა იმისათვის, რათა ატომის დაუმრეტელი ძალა ყოველთვის ემსახურებოდეს ხალხის კეთილდღეობას და არასოდეს — ბოროტებას.

„ელექტრონიკ ისევე დაუმრეტელია, როგორც ატომი. ბუნება უსასრულოა, მაგრამ ის დაუსრულებლად არსებობს“.

ატომის პავლიონის პირველ დარბაზში შესვლისას გვითხრობთ ლენინის ამ სიტყვებს, რომლებიც თითქმის წარმოადგენენ ეპიგრაფს გამოფენის ყველა ექსპოზიციისათვის. აქ ყურადღებას იქცევს ატომგულისა და მის გარშემო მბრუნავი ელექტრონების თვალსაჩინო მოდელი, ჯაჭვისებური რეაქციის პროცესთა მაჩვენებელი მაკეტები და სურათები.

უდადეს ინტერესს იწვევს ცრელი სტენდი, რომელიც მოგვითხრობს გასაოცარი და ურთულესი აპარატების — ელექტროლი და მჭარებლების შესახებ, რომელთა გამოყენებით მეცნიერები ღებულობენ მატერიის ნაწილაკთა უდადესი სინქროსა და ენერჯის მძლავრ ნაკადს.

სსრ კავშირში შექმნილია მსოფლიოში ასეთი ყველაზე მძლავრი მანქანა — სინქროვაზოტრონი 10 მილიარდი ელექტროვოლტის სიმძლავრისა.

სტენდზე რამდენიმე მტრით გადიდებული, უდადესი დამჭარებლის სურათი. ესაა გიგანტური დანადგარი, რომელიც 40 ათას ტონამდე იწონის. უნიკალური სინქროვაზოტრონი გადაცემულია მოსკოვის ახლოს შექმნილ ატომგულის საკვლევი გარეთიანებული ინსტიტუტის განკარგულებაში, სადაც მუშაობენ 12 ქვეყნის მეცნიერები. გამოფენაზე ნაჩვენებია რადიოაქტიური ლითონთა ძიების მეთოდები თვითმფრინავებსა და ავტომანქანებზე დადგმულ უზუსტესი გამოსხივების სპეციალური რეგისტრატორთა საშუალებით.

ჩვენს წინაშე ასეთი საშუალებით ნაბოვნი ურანოსანი ნახშირის, ფიქალისა და ფოსფატის ნიმუშები. გახლეჩა ატომის გულისა, დიდ ხიფათს წარმოადგენს ადამიანებისათვის. მისი მატარებლობა სასიკვდილო გამოსხივებანი და უმცირესი რადიოაქტიური ნაწილაკები — აეროზოლები, ატომის საშიშროებისაგან რთული და საიმედო დაცვის გარეშე ადამიანი უმწეო იქნებოდა გამოყენებინა ატომგულის ენერჯია.

პავლიონში წარმოდგენილია დამცველ საშუალებათა მთელი არსენალი. საშიშროებასთან ბრძოლას იწყებენ ელექტროლი მხვერაგ-აპარატები, რომლებსაც შეუძლიათ გამოაშვარაგონ რადიოაქტიური მტერიის სულ ცოტა მიკროგრამის შემთხვევით არის გრამის ერთი მეგილიონედი ნაწილი. სტენდზე მშვიდად განლაგებულ აპარატებს არა თუ შეუძლიათ გამოაშვარაგონ ეს ფანტასტიკურად პაწაწკინტელა ნაწილაკები, არამედ უზუსტად გამოიანგარიშონ და გვიჩვენონ შკალაზე თუ როგორია მათ მიერ პერის მოწყობის ხარისხი.

აქ არის კიდევ სხვა ხელსაწყოები, რომლებიც გათვალისწინებულია იმისთვის, რომ წარმოებდეს ატომგულის ნაწილაკთა აღრიცხვა დროის არნახულად მოკლე მონაკვეთში, რაც წამის ნემლიარდით იზომება.

მაგრამ არ კმარა მარტო საშიშროების გამომქდავენება. უნდა ვიცოდეთ მისგან თავისდაცვა, მისი იზოლირება.

ვიტრინათა შუშებში გზედავთ ტანისამოსს, რომელიც თითქმის უელისს მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანების ფურცლებიდან მოხვედრილა აქ. სადღესასწაულო მუზარადი ორგანიული მინისაგან, მასთან მთლიანად შეერთებული, საგანგებო პლასტიკატიდან გაკეთებული. უნაკერო შარვალი და ხალათი, — ასე გამოიყურება უცნობი რაინდის აბჯრის მსგავსე სპეციალური დამცველი პნე-მოკოსტუმი, რომელშიც, როგორც წყალმცინთავის სკაფანდრში, უშვებენ ჰერს.

იმ ადამიანებს, რომლებიც იცვამენ ამ ტანსაცმელს, არ ეშინიათ ხიფათისა და მამაცურად ასრულებენ მოვალეობას ატომური ძალების დაპყრობისთვის ბრძოლის ყველაზე მოწინავე ხაზზე.

როცა საქმე გვაქვს მაღალენერჯის სხივთა განომშუქებელ რადიოაქტიურ მასალებთან, ადამიანს მათგან იცავენ ბეტონის სქელი ფენა, თუჯის ფილმი, ტყვიის მინები, ასეთ მოწყობილობას ჰქვია მეტყველი სახელი „ცხელი კამერა“.

მაგრამ როგორ უნდა ვიმუშაოთ ასეთ კამერაზე? ხომ არ შეიძლება ბეტონის ერთმეტრან სისქეში გავყოთ ადამიანის ხელები. აქ გვშველის მონახუნებულად კონსტრუირებული მანიპულატორთა რკინის „ხელები“, რომლებსაც დისტანციურად მართავენ.

როცა გამოფენაზე თვალყურს ადევნებთ ამ გასაოცრად მოძრავი კონსტრუქციების მუშაობას, გგონიათ, რომ თქვენს წინაშე მოქმედებენ გონიერი

მექანიკური არსებანი, ოპერატორის მოძრაობას დამორჩილებული ეს მექანიკური „ხელები“ ეწევიან მთელ რიგ რთულ პროცედურას. ისინი, მავალად ამტკიცებდნენ ანაწილებენ ერთი გრამის მათედის შეცველ მასალებს ამ ამბულებს თავზე უტოვებენ რამდენიმე მილიმეტრის სისქე საცოხს, უკადებენ ასანთს, წინასწარ იღებენ რა მას კოლოფიდან.

დღეს მანიპულატორის მართავენ მაღალკვალიფიკაციური ოპერატორის ხელები. ხოლო ხვალ რაღა იქნება? ჩვენ გვიამბეს, რომ „ხვალ“ შეიქმნება ჯადოსნური მანიპულატორი, რომელსაც მართავს აზრი, მანძილზე გადაცემული ადამიანის ორგანიზმის ბიოტოკების დახმარებით. ასეთი აპარატის წინა სახე უკვე შექმნილია ჩვენს ქვეყანაში — ესაა აზრობრივი ბრძანებების შემსრულებელი ხელის პროტეზი.

ექსპოზიციის თითქმის ყველაზე საინტერესო განყოფილებაა ატომური ენერგეტიკის განყოფილება. ძალზე დიდა ჩვენი ქვეყნის წარმატებები ამ დარგში. საბჭოთა კავშირი ხომ მსოფლიოში პირველი სამშობლო გახდა ატომური ელექტროსადგურისა, რომლის მაკეტი გამოფენილია პავლიონში.

დაძაბული ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს განოფენის ამ კუთხეში მოქმედი ატომური რეაქტორის მუშაობას. მისი სახიფათო ზონა, სადაც მოთავსებულია ურანის ისრები, გამოყოფილია მაყურებლიდან წყლის ხუთმეტრიანი დამცველი ფენით, როცა რეაქტორი ჩართულია და იწყება ატომთა დაშლა, ურანის ისრებს გარშემო შემოადგებათ რაღაც იღუმალი მოლურჯო სინათლის გვირგვინი.

სულ რამდენიმე ხნის წინათ აგებულ იქნა 5 ათასკილოვატისანი ატომური ელექტროსადგური, დღეს კი გამოფენაზე ვხედავთ ერთ-ერთ რესპუბლიკაში აგებულ 200 ათასკილოვატისანი ატომური სადგურის მაკეტს. ხოლო მის გვერდითაა შარშან წყალში ჩაშვებული მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმტრე-ლის მოდელი. ატომის პავლიონის ექსპონატები მოგვითხრობენ საბჭოთა მეცნიერების მუშაობაზე მართული თერმოატომგულური რეაქციის შექმნის დარგში. ჩვენა ვართ მომავლის ენერგეტიკის დაბადების მოწამენი, თერმოატომგულური რეაქციით მართვის საფუძველზე პელიუმად წყალბადის გადაქცევის მოწამენი. დღეს ჩვენ შეგვიძლია ხელოვნური ვზით მივიღოთ ათობით რადიოაქტიური ნივთიერება — იზოტოპები, ანდა „ნიშანდებული“ ატომები. მათ გააჩნიათ არაჩვეულებრივი თვისებები და შეუძლიათ გასწიონ უაღრესად ნაირფეროვანი, მარტო მათთვის ხელმისაწვდომი სამსახური.

პავლიონში ნაჩვენებია, თუ როგორ გვაძლევენ საშუალებას იზოტოპები, ხილული გახადონ ფარული საწარმოო პროცესები, დაამტკიცონ ქიმიური რეაქციები, შექმნან უზუსტესი გამზომავი ხელსაწყოები, მაგალითად მათი დახმარებით მეტალურგები ხედავენ, თუ როგორ ხდება ფოლადისა და თუჯის დნობა მარტენისა და დომენის ღუმელებში.

რადიოაქტიური გამოსხივებები ამა თუ იმ არეში გავლით, საკარნობლად სუსტდებიან. ეს მათი თვისება გამოყენებულია ისეთ ხელსაწყოთა შესაქმნელად, რომელთაც ძალუძთ უკონტაქტოდ, ე. ი. უშუალო შეხების გარეშე გაზომონ გარემოს ან მასალის სიმკვრივე, სისქე, წონა.

სტენდებსა და სქემებზე წარმოდგენილია იზოტოპურ გამოშობა მთელი კოლექცია. მათ შორისაა გრუნტისმზომი, სითხის რადიოაქტიური მკვრივზომი, ნაგლისის სისქის, მანქანაზე გაშვებული ქსოვილის ან ქაღალდის წონის გამზომავები. უიზოტოპებოდ და მათი გამოსხივებების გარეშე ვერაფერს გავაკეთებთ იქ, სადაც საჭიროა უზუსტესი ანალიზი, სადაც დაპარავი ნარევის სიდიდის განსაზღვრაზე ერთი მეათმილიონედი პროცენტით.


მაგრამ ყველაფერ ამით როდი ამოიწურება ატომურ პავლიონში ნაჩვენები რადიოაქტიური ნივთიერებათა გამოყენების ნაირფეროვანება. ჩვენ აქ ვხედავთ ატომურ კატალიზატორებს, რომლებიც მრავალჯერ აჩქარებენ პლამბისის წარმოებისათვის საჭირო გიგანტურ მოლეკულებს-პოლიმერებს. სხვა სტენდებზე გამოფენილია, თუ როგორ ეხმარებიან ადამიანს ჯადოსნური ატომური „მხვრავები“, ამოიცნოს ცოცხალი ორგანიზმის მეტად რთულ და ძნელადმისადგომ პროცესთა საიდუმლოება.

ერთ-ერთ დარბაზში ყურადღებას იქცევს „რადიოარტილერიის“ თავისებური ზარბაზნები. ისინი „ისვრიან“ გამა-გამოსხივებებს. აქედანაა მათი სახელწოდება — გამადანადგარი. ასეთ დანადგართა სიმძლავრე, ისე როგორც არტილერიის ყალიბი, მეტად სხვადასხვაგვარია. აი „პაწაწა“ — ძალი, რომელიც შეესაბამება 20 გრამი რადიუმის მოქმედებას, აი კიდევ გიგანტი, რომელიც თავისი სიმძლავრით ეთანაბრება 800 გრამი რადიუმის გამოსხივებას.

იქვე, შუშის ქვეშ, ორ რიგადაა სურათები. ერთზე გადაღებულია ექვშითა და მუწულებით დაყრილი სახე და ხელები, მეორეზე იგვე სახე და იგივე ხელები, მაგრამ ახლა უკვე აღარა ჩანს საშინელ დაფადებათა კვალი. ესაა გამადანადგარის მოქმედების შედეგი.


ეს შესანიშნავი გამოფენა გაიხსნა სულ ორიოდე წლის წინათ. მაგრამ მისი ექსპონატები განუწყვეტლივ ივსება, ეს გასაგებია. ატომური მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესული ზრდა არაჩვეულებრივი ტემპით მიტრის წინ.

ბ. შატბარაშვილი



საკავშირო სამრეწველო გამოფენის პავლიონში „ატომის ენერჯია სამშენებლო მიზნებისათვის“.





ქალაქი რიგა. გზაჯვარედინზე.

რიგის ერთ-ერთი ქუჩა.



ერთი ქოლგის ქვეშ.






გარეკანის პირველ, მეორე და ჩანართის ოსივე გვერდზე  
შთავებულა მხატვარ ა. ბანძელაძის მიერ შეხრულე  
ბული ქალაქ რიგის ჩანახატები.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მოედანი ძველი რიგის უბანში, ცომის ეკლესიასთან.




ძველი რიგის ერთ-ერთი ქუჩა.



„ტურაიდას რომანს“ საფლავი ტურაიდაში.

SE DUE  
TURAIAS ROZE



გაცნობა.



სულთა ჰაერზე.





ქართული მხატვრობის გამოფენა რიგაში.



ძველი რიგის რუსი მოსახლეობის უბანი.



# ჩხისქის ფანჯარა

გიორგი გელაშვილი

ნახ. გ. თოთიბაძისა

ეს ცისფრად შეღებილი ჰაეროვანი ფანჯარა, რომელსაც დღის მიწურულს მსუბუქი ნაბიჯითა და სტვენა-ლიდინით უახლოვდებოდა მზისგან სახელამწვარი ახალგაზრდა კაცი, ქალაქსა და რაიონულ ცენტრს შორის გაწოლილი შარავლის შუა ადგილზე დაბრძანებულა მუხების მყუდრო ჩრდილში.

მგზავრი მარჯვედ გადაევლო გზისპირა ვიწრო არხს და დახტა თუ არა მწვანეანზე, ფეხები ისე მარდად გაუსვ-გამოუსვა ბალახში, თითქოს სტვენა-ლიდინს ცეკვაც ააყოლო. ფეხსაცმელებს სქლად დადებული მტვერი მოაცილა, ტანსაცმელიც ჩამოიბერტყა და ფანჯარაში შეაღებდა. მოაჯირთან მიდევმულ გრძელ სკამზე წაოგორება უნდოდა, მაგრამ გაცივებით შეეცვინდა. იმ სკამზე ქალიშვილი იჯდა, ფეხები აეკეცა, გზისაკენ შურგი შეექცია და მოაჯირზე დაწყოთილ თეთრ მკლავებზე თავჩამოდებული, ალბათ, მდინარესა და მის ნაპირზე აქოჩრილ პატარა ტყეს გასცქეროდა.

ახალგაზრდა აღარ უსტვენდა, არც ლიდინებდა, მაგრამ ამ მყუდროებაში მისი წელანდელი უღრტული და ფეხის ხმა უნდა მოსწვდენოდა ქალიშვილის ხმენას! ჰოდა, იცის ქალიშვილმა, ნამდვილად იცის, რომ ამ წუთში მის შურგს უკან ვიღაცა დგას.

ნელა, ძლიერ ნელა მოაბრუნა ქალიშვილმა ღამაში თავი, მშვიდად შეათვალიერა ვაჟის ზვინივით დამდგარი შავი ხუჭუტა თმა, მზისგან შერუჯული უღარდელი სახე და საკინძადადელილი, სახელოებაკეცილი ისფერი პერანგი, და თითქოს დამცინავად გაიღიმა.

ღიმილი ღამაში სამკაულივით მოუხდა მის ნახსა და ჭკვიან, ოდნავ მზედარულ სახეს, თეთრად გაკამყამებულ მსუბუქ გრძელ კაბასა და პატარა წაბლისფერ ნაწნავებსაც კი.

— ბოდიში, — მორცხვად თქვა მოსულმა და ფანჯარის იატაკს დააცქერდა. დაბლა უხვად ეყარა ასანთისა და პაპიროსის ნამწვავები, მიჭყლებილ-მოჭყლებილი კოლოფები, ქაღალდის ნახევები, სახელდახელო საუზმის ნარჩენები, ამის მიხედვით იაზრა, ახლახან აქ ბევრი ხალხი ყოფილაო და კვლავ შეხედა ქალიშვილს.

— დაგტოვეს?  
— არა, მე თვითონ ჩამოვრჩი, — ქალიშვილმა ღიმილი მოიცილა და თითქოს კიდევ ამოიხრა, — მეცხრე ვიყავი...

— მეცხრე? — გაიოცა ვაჟმა, — რას ნიშნავს მეცხრე?

— ყველა ერთად ცხრანი ვიყავით, ცხრა ახსანავი წამოვდით კვირა დღის ერთად გასატარებლად, ოთხი ვაჟი და ოთხიც მათი... ოთხი ქალიშვილი, მე კი მეცხრე ვიყავი. ამიტომ ჩამოვრჩი, — უბრალოდ, აუღლეველივ განმარტა ქალიშვილმა და თვალის თანამოსაუბრის შურგს უკან, გზის იქითა მხარეს აღმართულ კლდოვან მთას მიაპყრო, — არა მტკვებდნენ, მაგრამ დავაჯერე, აი, მაგ მთის ვადაღმა რომ სოფელია, გვერდულეთი ჰქვია იმას, ნაცნობები უნდა მოვიხსნეო და სადამოს ისინი გამომაცილებენ-მეთქი ქალაქისაკენ.

— გვერდულეთი? — სიხარულით შესძახა ახალგაზრდა ვაჟმა, — მეც ხომ იქ მივდივარ!

— თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ, — კვლავ გაიღიმა ქალიშვილმა, — მე კი ეგ მხოლოდ მიზეზად დამჭირდა. აი, ცოტა ხანს კიდევ ვიქნები აქ და მერე მეც ქალაქისაკენ გავუყვები.

— მართო? — წამოსცდა მგზავრს.

— რა დამიზავდება, — მშვიდად მიუგო ქალიშვილმა, — ჩემი ვარაუდით მთვარიანი საღამო უნდა იყოს და კიდევ მთამება.

არც ერთს აღარა უთქვია რა, ქალიშვილი კიდევ შეკითხვას მოელოდა, თვითონ არას კითხულობდა, ვაჟს კი ათასი კითხვა ერთად გაუჩნდა და იმათგან რომელიმე ვერ ამოერჩია.

— შეიძლება ჩამოვჯდე? — ფრთხილად იკითხა მან ბოლოს.

— ბატონი ბრძანდებით, — გაისმა თავაზიანი პასუხი.

იმავე სკამზე ჩამოჯდა, მცირე ხანს რაღაცას ყოყმანობდა, მერე შურგიდან წაწივით გადაკიდებული პატარა ბოხჩა მუხლებზე გადმოიგდო და გახსნა, ცოტაოდენი საგზალი — სოფლური ბური, გულის ყველის ნაჭერი და ორიც მოხარული კვერცხი ამოალაგა, თან თითქოს თავს იმართლებსო, ისე დაილაპარაკა:

— მე რაიონის კულტურის სახლის მხატვრული ხელმძღვანელი ვარ, სახელად ანგია მქვია, ორი წელია, რაც ქალაქიდან ამ სამუშაოზე გამომგზავნეს, დედაჩემიც მაშინვე ჩამოვიყვანე. კარგი ადამიანია დედაჩემი და ბედნიერადაც გრძნობს თავს, ოღონდ ერთი შიში კი აქვს, როცა დრო დადგება, ვაითუ უხვირო რძალი მერგოს და ეს ტკბილი ოჯახი სულ ამერიოსო. ასეა თუ ისე, ჯერჯერობით სიყვით ვცხოვრობთ. იმას ბოსტანში ფუსფუსი არ ბერადდება და მე კიდევ ცეკვა-სიმღერა არ მაქვია, ხშირად სოფელშიც მიხდება სიარული

თვითშემოქმედი წრების დასახმარებლად, ახლაც იმიტომ მივიღივარ გვერდულეთში... პურ-მარილიანი ხალხია იქ, მაგრამ მე კი აი, ესე ბუნების რომელიმე კუნძულში დანაყრება მირჩევნია ყველაფერს... ჰოდა, რქვენც დამეცნო წვიეთ, მცირეა ჩემი-სუფრა, მაგრამ ნუ გამილანძღვთ.

ქალიშვილმა არაფერი უპასუხა, გვერდით ტყავის მოყვითალო სამგზავრო ჩანთა ედო, იქედან ალუმინის პატარა ტოლჩა ამოიღო, ფეხები დაბლა ჩამოუსვა, კაბა გაისწორა და წამოდგა. ასევე უსიტყვოდ გავიდა ფანჯარა-რიდან და ის ტოლჩა მუხების ფესვებთან წყაროზე აავსო.

— მოგმსახურებით, — თქვა მან, როცა დაბრუნდა და ანგიას ხელებზე ანიშნა, იმანაც გაუბედავად შეუშვირა ხელები ტოლჩიდან წვრილ ნაკადად მდინარე წყალს და თვალი სკამისკენ გაექცა, სადაც წედან ქალიშვილი იჯდა ფეხებზეკეცილი. იქ მისი ცალი ტუფლი დარჩენილიყო, ეს რაღაო, გაიფიქრა, მაგრამ სწორედ მაშინ თავზე იგრძნო ცივი წვეთები და ტუფლიც უშალ გადავიწვია. ზემოდან დაცქეროდა ქალიშვილი ანგიას და უცებ გაუჩნდა ეს სურვილი, რომ მისი ხუჭუტა თმისთვისაც ერგუნებინა ცოტაოდენი წყალი. მაგრამ ეს არ იყო ბავშვური ანცობა, გახუმრება, რაღაც იღუმალი ფიქრით შეპყრობილი სჩადიოდა ამას ქალიშვილი, ხოლო, როცა ტოლჩა გამოიცალა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, — მე კი ჯერ მხოლოდ სტუდენტი ვარ, ნინო მქვია...

ნინო ერთხელ კიდევ გავიდა ფანჯარა-რიდან, ახლა უკვე ცოცხად შეკრული ბალახის კონით შემობრუნდა უკან და თვალის დახამხამებაზე წმინდად მოგავა იქაურობა. მერე ორივემ მორცხვად მოცმუცნა საქმელი და ანგია იმ ცალად დატოვებულ ტუფლზე ანიშნა ნინოს.

— გიქერთ?

— არა, ლურსმანი ამოსულა თითებთან და ვერაფერი ვუღონე.

ანგია ფიცხლად წამოდგა ადგილიდან, ტუფლი მოკრძალებით აიღო ხელში, თითები ჩაყო და მოსინჯა, ლურსმანი მის სიღრმეში ამოჩრილიყო, სწრაფად ორი სიბი ქვა მოძებნა, ერთი ტუფლში შეაცურა, მეორე ლანჩიდან დასცა რამდენჯერმე და საქმეც უშალ მოგვარდა. დაიხარა და ტუფლი წინდისამარა ფეხთან დაუდო, უნდოდა თვითონვე ჩაეცმია, მაგრამ მართო ამის გაფიქრებამ შეკრთო და ისევ წელში გაიმართა.

— კარგია? — ჰკითხა მან ხმადაბლა, როცა ნინომ ფეხი ტუფლში ჩადგა.

— მშვენიერი, — მიუგო ქალიშვილმა, — ახლა ცეკვაც შემიძლია.

თქვა და ხელები ნელი რხევით შემართა, ყელი მოიღერა და ფეხები მსუბუქად გააცურა იატაკზე. სახეზე კი ისევ ის იღუმალი ფიქრი თუ სევდა ემჩინოვდა, და ეს როგორღაც დიდებულსა ხდიდა.

უკვე საღამო იყო, არემარემ ფერი იცვალა, მუხის ფოთლებზე მთვარის ნათელი ჩამოცურდა. გზიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა, ქალიშვილის კაბა მტრედის ფრთასავით ჰკრთოდა შეუმჩნეველად გაჩენილ შუქ-ჩრდილებში და ანგია მოჯადოებულივით შესცქეროდა მას. სიზმარივით უხმო და ღამაში იყო ნინო. ერთმანეთს გულით შესცივინეს და ისევ სკამზე ჩამოჯდნენ. ნინომ წელანდელივით შექცა ფეხები, თავი კი ვაჟის მხარეს მიადო სიამოვნებით და თვალები მიხანბა. თითქოს დაიძინა და ძილში ჩაიჩურჩულა:


— მე-სიმღერაც ვიცი... ოღონდ ახლა არა, ახლა ესე მინდა ვიყო, სხვა დროს გიმღერებ... — უნდოდა ესეც დაეყოლებინა: მაინც რატომ, რატომ ჰგონია დედაშენს, რომ უხვირო რძალი მიუვაო, — მაგრამ სითამამე აღარ მიუწვდა და გაუჩნდა.





# მობონება დიდ ქართველ რეჟისორზე

თამარ წულუკიძე, რისპუბლიკის დამსახურებული არტისტი



აფრქვევდა. დღევანდელი, მაგრამ არ იმჩნევდა, დამზადებულად და დირექტორად ეჭირა თავი.

რუსთაველის თეატრის გასტროლები მეორე სამხატვრო თეატრის შენობაში იყო დანიშნული. მის კოლექტურს ჩვენს თეატრზე „შეფობა“ ეკისრნა. გამოგვაცხადეს, რომ თეატრის დირექცია გვაპატიუბს „ფინჯან ჩაიზე“ და სადგურიდან პირდაპირ მათ თეატრში წავედით

თეატრის წინ შემოგვეგება თეატრის ხელმძღვანელი ი. ვ. ბერსენევი, დირექცია, მსახიობები; ისევ თავიულები, მეგობრული მისაღობანი, რეპორტორებმა მოასწრეს რამდენიმე ფოტოსურათის გადაღება.

ეს დღე სავსე იყო მოულოდნელობებით. შევდგით თუ არა ფეხი თეატრის ზოლში, საიდანაც ორკესტრმა იგრიალა, გაისმა ტაშის ქუხილი და ყვავილების წვიმა წამოვიდა. თეატრის მუშაკებმა ჩამწყვიტებულიყვნენ ორ მწყობარ რიგად შესასვლელ კარებთან დაწყებული, ზემო სართულზე ასასვლელ კიბის ბოლომდე თავიულებით ხელში, და ყვავილებით გზას გვიფენდნენ.

მეორე სართულზე, ფოიეში მაგილები იყო გაშლილი. უფროსი მსახიობები ჩვენთან დასხდნენ, ახალგაზრდები დიასახლისობდნენ, გვიმასპინძლებოდნენ. უადრესად გულახდილი, მიმზიდველი, მეგობრული უბრალოებით შეგვხვდნენ რუსი მეგობრები.

ბერსენევი წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა, ძალიან უბრალო, გულთაღი, არაოფიციალური. მერე — სხვებმა. ბოლოს სიტყვა ითხოვა ახმეტელმა. მყისვე ყველა რუსთაველი ფეხზე წამოდგა და სიტყვის დამთავრებამდე არ დამსხდარან, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „რას ნიშნავს ეს?“ — იკითხა ბერსენევი. ავუხსენი, რომ ასეთი ჩვეულება ჩვენში: როცა უფროსი სიტყვას წარმოთქვამს, უმცროსნი ფეხზე დგანან პატივისცემის ნიშნად. აქ, მით უმეტეს, ეს აუცილებელია, როცა ხელმძღვანელი მასპინძლებს მიმართავს მთელი კოლექტივის სახელით-მთქი. — რა ღამაში ტრადიცია! ეს ხალხის ძველ კულტურას ამუღავნებსო! — თქვა ბერსენევი.

5 ივნისს „ანზორით“ დაიწყო რუსთაველის თეატრის წინასაოლიმპიადო გასტროლები. მთელმა თეატრალურმა მოსკოვმა მოიყარა თავი ამ პირველ სპექტაკლზე, აქ იყვნენ კრიტიკოსები, რეპორტორები, საზღვარგარეთელი ჟურნალისტები, სტუმრები, მოსკოვის თეატრების რეჟისორები, მსახიობები.

პირველმა აქტმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე, იყო ერთსულოვანი ტაში, მაგრამ, მაინც ეტყობოდა, ჯერ ვერ გარკვეულიყვნენ უჩვეულო სანახაობაში. მეორე აქტი ცოტათი ვერ წავიდა კარგად (ასე იყო ყოველთვის თბილისშიაც), მაგრამ მესამე აქტში, პარტიზანების შემოსვლის მომენტში, იქუხა ტაშმა და მთელი აქტი ისე გრიგალივით წავიდა, რომ ყოველი ახალი მიზანსცენა მსურველთა ფაციფებს იწვევდა.

ანტრაქტში მთელი დასი სცენაზე გამოიწვიეს. იყო მილიცები, მისალმებანი, პიესის ავტორი, ს. შანშიაშვილი, გამოვიდა სამადლობელი სიტყვით-სანდრო ახმეტელს ოლიმპიადის საპატიო ნიშანი მიართვის.

სპექტაკლი რომ დამთავრდა, ხალხი არ იშლებოდა, კიდევ და კიდევ იხდებოდა ფარდა, დაუსრულებლად. ეს იყო თეატრის ნამდვილი ტრიუმფი. მეორე-მესამე დღეს ყველა გაზეთი გამოეხმაურა რუსთაველის თეატრის პირველ სპექტაკლს. ქართული თეატრის დიდი გამაჩვიება უდავო იყო.

7 ივნისს რუსთაველის თეატრმა უჩვენა მოსკოვს თავისი მეორე სპექტაკლი „ლამარა“, შემდეგ „რღვევა“ და ბოლოს „ქართა ქალაქი“. თეატრს და მის ხელმძღვანელს უდიდესი აღიარება ხვდათ წილად. კრიტიკოს-რეცენზენტებმა აღფრთოვანებული წერილები დაბეჭდეს.

ეს კრიტიკა იყო საქმიანი, მიუდგომელი, სამართლიანი, კეთილმოსურნე, ბევრი საქირი და მნიშვნელოვანი შენიშვნა დაინახა თეატრმა ამ კრიტიკაში, მაგრამ, საერთო და ძირითადი იყო აღტაცება. ეს ყველაზე მეტი უშუალოდით და ტემპერამენტით გამოსახა ემანუელ ბესიენმა თავის რეცენზიაში, რომელსაც ასე იწყებდა: „ამ თეატრზე, ამ სპექტაკლებზე შეიძლება დასწერო მხოლოდ გავირვებითი ნიშნებიო!.. რა შესანიშნავი თეატრია! რა შესანიშნავი სპექტაკლებია! იგონებ ყველაზე უფრო მკაფიო, ყველაზე უფრო ძლიერ თეატრალურ შთაბეჭდილებებს და, მართალი რომ ითქვას, არც ერთის შედარება არ შეგიძლია ამ წარმატებულ ტემპერამენტთან, ამ განსაცვიფრებელ ფორმასთან“.

გასტროლებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. სპექტაკლები გადაიტანეს მცირე თეატრის შენობაში.

15 ივნისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პირველი სრულიად საქავშირო თეატრალური ოლიმპიადი. თავმჯდომარეობდა ძველი ბოლშევიკი, ხელოვნების მთავარსამმართველოს უფროსი ფელიქს კონია.

ოლიმპიადაზე რუსთაველის თეატრის წარდგენილი ჰქონდა ორი სპექტაკლი: „ანზორი“ და „ლამარა“.

ოლიმპიადი დაიწყო 16 ივნისს. ორივე სპექტაკლს საზღვარგარეთიდან ჩამოსული ბევრი ჟურნალისტი და ტურისტები დაესწრო. რა აღფრთოვანებით იღებდნენ ისინი ჩვენს სპექტაკლებს, ამას მათი შემდგომ გამოგზავნილი და დაბეჭდილი წერილები მოწმობს. ეს დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია ს. ახმეტელის ხსოვნის წიგნში.

საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკლამ დიდის წარმატებით ჩაიარა მოსკოვში. დრამატულ სპექტაკლებს შორის, განსაკუთრებული მოწონება ხვდა რუსთაველის თეატრის სპექტაკლს „ილიძის მეფეს“.

რუსთაველის თეატრის დიდი ხნის წინათ ჰქონდა გაკაფული გზა საბჭოთა დედაქალაქში. მისმა პირველმა გამოჩენამ მოსკოვში 1930 წელს, პირველ სრულიად საქავშირო თეატრალურ ოლიმპიადაზე, და შემდეგ — 1933 წლის ტრიუმფალურმა გასტროლებმა — ისეთი დიდი სახელი გაუთქვა თეატრს, ისეთი ერთსულოვანი აღიარება და სიყვარული მოუპოვა, რომ მას შემდეგ, როდესაც არ უნდა გამოჩენილიყო რუსეთში რუსთაველის თეატრი, მას წინ მიუძღოდა ერთხელ და სამუდამოდ მოპოვებული სახელი.

1930 წელი საგულისხმო თარიღია ქართული თეატრისთვის. პირველად თავის არსებობის ისტორიაში იგი გასცილდა სამშობლოს ფარგლებს და მოძვე ჩრდილოელ ხალხთა გასაცნობად გამოიტანა თავისი მზიური ხელოვნება.

რუსთაველის თეატრი მიწვეული იყო ნაციონალური თეატრების პირველ სრულიად საქავშირო ოლიმპიადაზე მოსკოვში.

რუსთაველის თეატრი მაისის უკანასკნელ რიცხვებში გაემგზავრა თბილისიდან. 5 ივნისს უნდა დაწყებულიყო თეატრის წინასაოლიმპიადო გასტროლები მოსკოვში.

ჩქარი მატარებელი თბილისი-მოსკოვი მაშინ ბაქოს გზით დადიოდა. მოსკოვის სადგურზე დახვდნენ დღეგაციები, სამხედრო საპატიო ყარაული ორკესტრით, ოლიმპიადის საორგანიზაციო ბიუროს წევრები... მალე ბაქანი ხალხით აივსო.

ოფიციალური მისალმებით თეატრს მიმართა ოლიმპიადის ჟიურის თავმჯდომარემ და ხელოვნების მთავარსამმართველოს უფროსმა ფელიქს კონიამ. შემდეგ, ოლიმპიადის ჟიურის მდივანმა, დრამატურგმა გლებოვმა და კიდევ რამდენიმე დაწესებულების წარმომადგენლებმა.

საპასუხო მოკლე სიტყვით გამოვიდა თეატრის ხელმძღვანელი ს. ახმეტელი. ვაგონის საფეხურზე იდგა და იქიდან გადასცქეროდა მოზღვავებულ ხალხს, სანდროს გაფითრებული, სერიოზული, ადგნებით და ენერგიით სახსე სახე ჰქონდა იმ წუთში; მისი ელვარე თვალები თითქოს შინაგან ცეცხლს



პირველმა ოლიმპიადამ ფართო საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ნაციონალური თეატრების წარმოდგენებს დიდის ინტერესით ესწრებოდნენ თეატრალური და არათეატრალური საზოგადოება, საზღვარგარეთელი სტუმრები. პრესა დიდ ადგილს უთმობდა საოლიმპიადო სპექტაკლების შეფასებას. კომუნისტურ კადემიაში რეგულარულად იმართებოდა სპექტაკლების განსჯა-განხილვა, რომელიც მრავალრიცხოვან აუდიტორიას იკრებდა. იყო ბევრი პრინციპული კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

რუსთაველის თეატრის გასტროლები წინადასახული გეგმის მიხედვით საოლიმპიადო წარმოდგენებით უნდა დამთავრებულიყო 14 ივნისს. თეატრს უკვე ხარკოვში მიეღოდნენ, მაგრამ თეატრი იძულებული გახდა გეგმები შეეცვალა. საზოგადოების მოთხოვნით მთავრობამ დაადგინა გასტროლების გაგრძელება კიდევ ორი კვირით. უადრესად ბედნიერად ვგრძნობდით თავს. ის, რაც სანატრელ სიხშირად, გამოუთქმელ ოცნებად გვქონდა ყველას გულში სულ ორი კვირის წინათ, ახლა აშკარა, უდავო ფაქტად გახდა და ყოველგვარ ოცნებას გადააქარბა: რუსთაველის თეატრმა გაიმარჯვა. ერთადერთი თეატრი, რომელიც საზღვარგარეთ იყო მიწვეული საგასტროლოდ, ეს იყო რუსთაველის თეატრი.

ჩვენს სპექტაკლებზე რატომღაც არ ჩანდა ვ. ა. ლუნჩარსკი, თუმცა სანდრო ახმეტელმა პირველს მას გაუგზავნა მოსაწვევი ბარათი.

და ბოლოს გაოჩნდა ისიც. იმ საღამოს (უკვე მერაბდენიძეებზე) „ანზორი“ მიდიოდა. ლუნჩარსკის მოხვლა უმალვე მთელ კულისებს მოელო.

მესამე მოქმედების დაწყების წინ, სანდრო ფარდა აიხდებოდა, სანდრომ უთხრა მის ირვლივ შემოკრებილ ახალგაზრდებს, მასიურ სცენების მონაწილეებს:

— აბა, ბიჭებო, ეს სპექტაკლი დღეს ჩემთვის პრემიერა არის, იცოდეთ! აბა, ამ სიტყვებმა, ხელმძღვანელის აღფრთხილებულმა სახემ თითქოს ცეცხლი შეუთო მსახიობებს. მგონი, არასდროს არ წახსულა მესამე აქტი ასეთის გატაცებით, ტემპერამენტით, როგორც იმ საღამოს.

ფარდა რომ დაეშვა, დარბაზში რამდენიმე წამი სიჩუმე იდგა. მერე, თითქოს გამოერკვივნენ, იგრიალა ტაშმა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა.

ლუნჩარსკიც წამოვარდა თავის ადგილიდან და ჩქარი ნაბიჯით სცენის კარებისკენ გამოეშურა. ყველას, იქ მყოფ მსახიობებს გვახსოვს მისი შეხვედრა ს. ახმეტელთან, ამადღევებელი, განსაცვიფრებელი...

— ამხანაგო სანდრო, — უთხრა ანატოლ ვასილისძემ ახმეტელს, — მე ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე... მაპატიეთ!.. ჩემთვის სასულიად მოულოდნელია ეს, რასაც ვხედავ... მე სულ სხვა აზრისა ვიყავი თქვენს თეატრზე... როგორ მოხდა ეს? განსაცვიფრებელია. დაუჭრებელია... მე დავწერ, უსათუოდ დავწერ... თქვენს თეატრზე შეიძლება ტომები დაიწეროს... მე მინდა შეგხვდეთ... ეს უსათუოდ საჭიროა... ვთხოვთ ჩემთან ბინაზე... თქვენი თეატრი საბჭოთა თეატრის პრობლემა... ეს არაჩვეულებრივი მოვლენაა... ვთხოვთ ჩემთან! თქვენ მსახიობებსაც ვთხოვ... შეგხვდეთ... და არა ერთხელ!..

მეოთხე მოქმედებისთვის თავის ადგილზე პარტერში აღარ დაბრუნებულა, დირექციის ლოჟიდან, სანდროსთან ერთად უყურებდა სპექტაკლს.

მას შემდეგ იგი ჩვენი მუდმივი მყოფი და თეატრის მეგობარი გახდა. თითქმის არც ერთი სპექტაკლი არ გამოუტოვებია. მისი თხოვნით ყოველ სპექტაკლზე მისთვის ადგილები იყო შენახული. მოდიოდა ხან თავისი მეთულის — მსახიობ-ქალის როზენელის თანხლებით, ხან მეგობრები მოჰყავდა, ხან ვისმეს თავისი ბარათით გამოგზავნიდა: აბა და ამ კაცმა უსათუოდ უნდა ნახოს თქვენი სპექტაკლი.

სანდრო ორჯერ წაიყვანა თავისას. შემდეგ თეატრის უფროსი მსახიობები, სანდროსთან ერთად, მიიწვია ბინაზე ვახშამად.

გასტროლების დამთავრებისას ვაჭეთში მოათავსა პატარა წერილი სათაურით „შეჯამება“, რომელსაც ასეთი სიტყვებით იწყებდა: „რუსთაველის თეატრმა განცვიფრებაში მოიყვანა მოსკოვი. მოსკოვის აზრით, და ჩემი აზრითაც, რუსთაველის თეატრი მსოფლიო თეატრების პირველ რიგში წინაურდება“ („ვეჩერნაია მოსკვა“, 1930 წ.).

რამდენიმე ხნის შემდეგ საზღვარგარეთიდან (სადაც სამკურნალოდ იყო წასული) დაბრუნებულმა, რუსთაველის თეატრს დიდი წერილი უძღვნა სათაურით „რუსთაველის თეატრის შესახებ“.

რუსთაველის თეატრმა პირველი ადგილი დაიკავა საკავშირო თეატრალურ ოლიმპიადაზე. გასტროლები დამთავრდა 30 ივნისს. იქიდან თეატრი გაემგზავრა ხარკოვს.

სანდრო ახმეტელი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე ამ ოლიმპიადისა. მის სახელთან არის დაკავშირებული ნაციონალური თეატრების პირველი მეგობრული შეხვედრის გამარჯვება. თეატრალურ მოსკოვს აქაზედ ახსოვს ის წარუშლელი შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა მათინ რუსთაველის სახელობის თეატრმა.

ამ 1958 წლის დეკადის შემდეგ თეატრალურ წრეებში ბევრი რამ ითქვა საინტერესო და საუფლისხმოდ. „ოლიმპოს მეფის“ დადგამა ლოგიკურად გამოიწვია ლაპარაკი რუსთაველის თეატრის წინა გასტროლების შესახებ, სანდრო ახმეტელის სახელგანთქმულ სპექტაკლებზე, რუსთაველის თეატრის შემოქმედებით მეთოდზე. გაიოთქვა საერთო აზრი, რომ ნიჭიერ რეჟისორ დ. აღეჟისიძის ეს ნამუშევარი რუსთაველის თეატრის საუკეთესო ტრადიციების აღდგენა და გაგრძელება. გამოითქვა აზრი, რომ ახლა დროულია შეგროვდეს მასალები, აღდგენილი და შესწავლილი იქნას ს. ახმეტელის შემოქმედებით მეთოდი, მისი რეჟისორული ხერხები.

# 5000 წლის ახალი

საზოგადოებრივი ცხოვრების

ნიუ-იორკის ერთ-ერთი ბანკის „ტომპსონი და ვაჟი Ltd“ დირექტორმა მალკოლმ ტომპსონმა გაიტაცა 10 მილიონი დოლარი და სამხრეთისაკენ გაიქცა.

კომფორტაბელური მატარებლის რბოლა ვაგონში მოკალათებული, იგი ტკბილ ოცნებას მისცემოდა. მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა. ტომპსონმა ამოიღო ახალთახალი ცხვირსახოცი და უცერად შეკრთა. ცხვირსახოცში ჩატანებული იყო პატარა ბარათი. „წყლით ვერ მორეცხ შენს დანაშაულს, პოლიცია მოძებნის შენს კვალს“, ამოიკითხა მან და შიშისაგან ლოკინს განერთხო. მისდა გასაცრად ტომპსონმა ბალიშზე თითქმის იგოვე მნიშვნელობის ბარათი იპოვა: „სძინავთ თუ არა შენს კლიენტებს ასევე მშვიდად, როგორც შენ?“ აღფრთხილებულ ტომპსონს ფეხზე წამოხტა. ლეიბ-სტრეკ იგოვე შინაარსის ბარათი დახვდა: „გახსოვდეს, საპატიმროში ასეთი კომფორტით ვერ მოეწყობი“. შიშისაგან ძილგამფრთხალი, გაფთრებული, იგი დილაძედ ბოლთას სცემდა კუბეში. დილით კი მოზვავებული ფიქრებისაგან თავის დასაღწევად ვაგონ-რესტორანისაკენ გაეშურა. კელნერმა მას მიაწოდა პრეისკურანტი, რომლის ყდაზე დაეწიოთელი ასოებით ეწერა: „გირჩევ, დაბრუნდე ნიუ-იორკში. ბოროტმოქმედება აღმოჩენილია — შენ გეძებენ!“ ტომპსონმა ელდანაკრავივით ხელი უშვა პრეისკურანტს და შეუკვთა ჭიქა ყავა. როდესაც მან ჭიქა გამოსცალა, მის ფსკერზე შენიშნა მინაზე ამოყვანილი წარწერა: „უკვე გაცემულია ბრძანება შენს დასაპატიმრებლად!“ ტომპსონმა სასწრაფოდ მოითხოვა ანგარიში. ანგარიშის ქვიზარზე ეწერა: „შენ გაფლანგე ფული, რომელიც უცხო აღამიანებმა მოგანდეს!“

აკვიტებული შიშისაგან წონასწორობადაკარგული დაბრუნდა იგი კუბეში. სიგარას სიგარაზე ეწეოდა. მატარებელმა სვლას უკლო და რომელიღაც დიდ სადგურზე გაჩერდა. იმ მიზნით, რომ გული გადაეყვებინა, ტომპსონი ბაქანზე ჩამოვიდა, იყიდა კრიმინალისტური რომანი და როგორც კი მატარებელი დაიძრა, დაიწყო კითხვა. წიგნში მან იპოვა ჩართული ფურცელი, რომელიც იწყებოდა: „უფრო დროული და მიზანშეწონილი იქნებოდა შენთვის სასამართლო კოდექსების კითხვა“. კუბეში კონტროლიორის შემოსვლამ იგი კიდევ უფრო ააფორიაქა. როდესაც კონტროლიორმა შემოწმებული ბილეთი დააბრუნა, ტომპსონმა მასზე შენიშნა შტამი: „გირჩევინა ახლავ დაბრუნდე. შემდეგ სადგურზე შენ დაგაპატიმრებენ!“ ამ უკანასკნელმა გაფრთხილებამ ისედაც აფორიაქებულ ტომ-

პსონს გზა-კვალი დატანა ნიუ-იორკში აღწევს მდგომარეობაში გადამხტა იგი ვაგონიდან და მახლობელ ტყეს შეაფარა თავი. საუბედუროდ, როდესაც გამოერკვა, იქვე ხეზე გაკრული გამაფრთხილებელი აბრა შენიშნა: „ტყუილად იმალები, სულ ერთია პოლიცია აქაც მოგძებნის!“

ტომპსონის არეულ ფიქრებიდან ერთმა იმარჯვა, უნდა ახლავ დაბრუნდეს უკან, სანამ გვიან არაა. მართლაც, რამდენიმე საათში იგი კვლავ ნიუ-იორკში იყო. ბანკში ჯერ კიდევ არ შეემზნათ ქურდობა და ტომპსონმა შესძლო გატაცებული ფულის უკან დაბრუნება.

რამდენიმე კვირის შემდეგ შედგა ახლად ჩამოყალიბებული „ბანკის თანამშრომელთა თვითმხსნელი საზოგადოების სხდომა“.

სიტყვა საზოგადოებას თემჯდომარემ წარმოთქვა. „ბატონებო და ქალბატონებო, მიუხედავად ჩვენი საზოგადოების 2-3 კვირის არსებობისა, ჩვენ მივალწვიეთ ბრწყინვალე წარმატებას. რამდენიმე კვირაა უკვე, რაც ამერიკაში ადგილი არ ჰქონია ბანკის თანამშრომელთა მიერ ფულის გატაცების შემთხვევას. ამ დამახებრებას, ისევე როგორც ჩვენი საზოგადოების ჩამოყალიბებას, უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი საზოგადოების საპატიო წევრს, კეთილშობილ ჯენტლმენს მისტერ ჯონ კრიასს. როგორც მოგეხსენებათ, მან ყველა შესაძლებელ ადგილზე დააგზავნა პაროლები, რომლებიც დამნაშავეს აფრთხილებენ და მორალურად ანიარალებენ. ამ უბრალო, მაგრამ მეტად მახვილგონიერი იდეის საშუალებით ჩვენი მიზანს მივალწვიეთ. მთელს ამერიკაში დამკვიდრდა პატიოსნება და კეთილმინდისიერება. ამიერიდან, ამერიკის მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ უშიშრად და უყოყმანოდ შეინახონ ფული ჩვენდამი რწმუნებულ ბანკებში. ახლა კი სხდომა სთხოვს მისტერ კრიასს, მოახსენოს ანგარიში იმ მილიონი დოლარის შესახებ, რომელიც მას, როგორც სანდო პიროვნებას, ამ ღონისძიების გასატარებლად გადაეცა.

ჯონ კრიასს რამდენჯერმე სთხოვეს დარბაზიდან, მაგრამ იგი არსად ჩანდა. მათინ ყველამ მზერა საზოგადოების სეიფს მიაპყრო. როდესაც იგი გააღეს, ფულის ნაცვლად იპოვეს ბარათი: „გამონაკლისი ადასტურებს წესის არსებობას“. ამგვარად ფული ნამდვილად გატაცებული იყო.

გერმანულიდან თარგმნა  
მ. მენთაუზაზილია.



# კახის ისტორიული ძეგლები

სოფ. კახი მდებარეობს საინგილოში, კახისავე რაიონში, და იგი წარმოადგენს კეთილმოწყობილ სარაიონო ცენტრს, რომელიც ადმინისტრაციულად შედის აჭერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.


ძველი კახი, როგორც საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, საინგილოს კულტურულ-რელიგიური ცენტრი უოფილა. აქ იყო საინგილოს დიდი სალოცავი ქურმუხის წმ. გიორგი და, აგრეთვე, გადამწერთა სკოლა. ამის შესახებ საყურადღებო მინაწერია შენახული ე. წ. „მაღალანთ სახარებაზე“, რომელიც მოგვითხრობს, რომ 1310 წელს მცხეთის კათალიკოს ექვთიმეს დაუთვალთქობა საქართველოს განაპირა ეპარქიები (სამწყსოები) და ეკლესიები, მოუვლია დაღესტანი, და, რომ დაუნახავს აქაური ეკლესიების სიღარიბე წიგნებით, მაშინვე უბრძანებია გიუმურმუხის მთავრ-ეპისკოპოს კირილე დონაურისათვის, გადაეწერინებინა სახარება და სხვა წიგნები, დაღესტანში გასაგზავნად. „მეცაო, ამბობს კირილე დონაური, გადავაწერინე კაკის წმ. ბარბარეს მღვდელს იასე ქიტიაშვილს და ათთორმეტთა მოწაფეთა მისთა, წარგზავნე საყდართა, მონასტერთა და შვილთა სასწავლებელთა თვემდგომთადმი და ვუბრძანე სწავლებად სჯული ჭეშმარიტი და ფილოსოფოსება, მამათა ცხოვრება, ქართლის ცხოვრება და ცხოვრება ალბანიისა“.

წმინდა ბარბარეს ეკლესიის ნანგრევები, რომელთანაც გადამწერთა ეს სკოლა არსებულა, კახში დღესაც არის. სამწუხაროდ, აქაურ ისტორიულ ძეგლებს მთლიანად არ მოუღწევია, ყველა შემუსვრულა მტრისაგან.

მოსე ჭანაშვილის თქმით: „ქართველების მტრებმა პირველ დასცეს მათი მფლობელობა, მათი საყდრები, მაგრამ მათი სახელი ვერ ამოგადეს. გულსაკლავია ყველა ამის ხილვა არა იმიტომ, რომ ქართველის ნაშთია, არამედ უფრო იმიტომ, რომ მტარვალს მის გარშემო მჩქეფარე თავისუფალი სული მოუხსნია, ცხოვრება დაუხსნია“.

კახში მაღალ ქედზე, ე. წ. საყარაულოს მთაზე, დაცულია ძველი ეკლესიის ნაშთი, რომელსაც უწოდებენ „კახის საყდარს“. ეს საყდარი მიცნეირულად შესწავლილი და გამოკვლეული არ არის. მისი ზოგადი აღწერილობა მოეპოვებათ მოსე ჯანაშვილს და ზაქარია ედილს.

სამწუხაროდ, დღეს ამ ძეგლის გარკვევა და მისი გეგმის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან კახის საყდრის ნანგრევზე მღვდელ ნიკოლოზ და მიხეილ ყულოშვილები თაოსნო-



ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესია (V საუკუ.).

ბით დაუშენებიათ ახალი ტიპის საყდარი 1907 წელს. ამას მოწმობს საყდრის მხედრული წარწერაც: „1907 წელს, მოხსენე, უფალო, მღვდელი ნიკოლოზი, მხევალი მარიაში, მღვდელი მიხეილ ყულოშვილით. ესე ეკლესია აღაშენეს მათ“.

კახში ყოფილა „სანების“ (სამების) სახელობის საყდარი და სამეზობას, ე. წ. „კვირაცხოვლობას“ (აღდგომის მეორე კვირას) აქ დიდი ხატობა იმართებოდა და საინგილოს სოფლებიდან დიდძალი მლოცავი მოდიოდა.

კახის საყდარი ძველია, იგი მოხსენებულია ქართლის ცხოვრებაში და მის აუენებას მიაწერენ მეფე არჩილ II-ს. არჩილ II მეფობდა 668-718 წლებში. ამის მიხედვით ირკვევა, რომ კახის საყდარი ძველი ძეგლია და აშენებულია VIII საუკუნეში.

მეორე საყურადღებო ისტორიული ძეგლი მოიპოვება სოფ. ლექეთში, რომელსაც ძველად ლექართი ეწოდებოდა. ეს სოფელი კახის ჩრდილოდასავლეთით მდებარეობს, კახ-ზაქათლის შარავიდან 5 კმ-ის დაშორებით.

ლექართი ქართველია უძველესი სოფელია, ახლა აქ მოსახლეობენ დაღესტნიდან ჩამოსული ლექები.

თავისი მრგვალი ფორმით ლექეთის ტაძარი ერთადერთი ძეგლია ამ მხარეში. იგი ნაგებობის ტექნიკით და ფორმით უნდა მიეკუთვნოს საქართველოს ადრინდელი ფეოდალური ხანის საკულტო ძეგლებს, დაახლოებით VI-VII საუკუნეებს.

ტაძარს ჰქონია ლამაზად დადარული თლილი ქვის სვეტები. რომლის ერთი ფრაგმენტი დღესაც ინახება. ამ სვეტის ფრაგმენტზე გამოსახულია „ლას-ის“ მსგავსი ასომთავრული ნი-

შანი, რომელიც უნდა იყოს ოსტატის საამუშენებლო ნიშანი.

მრგვალი საყდრიდან, 2-3 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილოეთის მიმართულებით, არის ძველი მონასტრის ნანგრევი სოფ. ლექეთქოთუქლოსთან. აქ არის 10-12 სხვადასხვა მოცულობის ეკლესიათა ნანგრევები, რომლებიც ჩაფლულია ტყეში და ბარდ-ეკალში.

ლექეთის ეს მონასტერიც ლიტურატურაში არ არის ცნობილი, მხოლოდ ექვთიმე კათალიკოსის მოგზაურობაში ნათქვამია, რომ მან ინახულა სოფ. ლექეთის წმინდა მოციქულთა სწორის ნინოს მონასტერი.

ამ ცნობის თანახმად XVII საუკუნეში აქ ყოფილა წმ. ნინოს სახელობის მონასტერი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ლექართი ყოფილა დედათა მონასტერი.

ნაგებობისა და მშენებლობის ტექნიკის მიხედვით ამ მონასტერს მიკუთვნებენ ფეოდალურ საქართველოს ძლიერების ხანას, კერძოდ X-XII საუკუნეებს.

სოფ. კახიდან ორი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესია. იგი მოთავსებულია მაღალ კლდეზე მდ. ქურმუხის ნაპირას და დაფარულია ტყით.

აქ კლდის დიდ ნაპრაღზე აღმართული ყოფილა ქვიტკირის პატარა სამლოცველო-ეკლესია, რომელიც დღეს დანგრეულია, მხოლოდ მისი საძირკველი კარგად ეტყობა. ეს პატარა ეკლესია შემოხლულული ყოფილა ქვიტკირის გაღავნით. გაღავნის გარეთ საცხოვრებელი ბინების ნანგრევებია. ამ ძველი ეკლესიის დანგრევის შემდეგ მლოცველები დგებოდნენ ქურმუხის კლდის ძირში, რომელიც ცოტათი ჩაღრმავებულია, და აქ უნებდნენ მას სანთლებს,

რომლისგან მთელი კლდე დღესაც გაქვარტლულია. აქვე მოპკონდათ სხვადასხვა შესაწირიც.

ვინაიდან ქურმუხს დიდძალი მლოცავი ეტანებოდა არა მარტო საინგილოდან, არამედ ქართლ-კახეთის სოფლებიდანაც, ამიტომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქურმუხის ამ ძველი ეკლესიის ნანგრევის გვირდით აუშენებიათ საკმაოდ დიდი ქართული ეკლესია.

ყველაზე დიდ დღესასწაულად საინგილოში ითვლებოდა ქურმუხობა, სადაც თავს იყრიდნენ როგორც ქრისტიანები, ისე მუსულმანი თათრები და ლეკები. მლოცავები მოდიოდნენ ჩარდახიანი ურმებით და აქ დგებოდნენ ღამის სათევად. გაშლიდნენ სუფრებს და ღროს ატარებდნენ.


დიდი და ძლიერი სალოცავი და საკულტო ადგილი — ქურმუხი წარმოადგენს დროიდან უნდა ყოფილიყო ცნობილი. ქურმუხის ამ კლდეზე შესაძლებელია იდგა წარმართი ღვთაების კერები, რომელსაც ქრისტიანობამდე ქართველები თაყვანს სცემდნენ. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ეს კერები, ალბათ, დაამსხვრიეს და აღმართეს წმ. გიორგის პატარა ეკლესია, ამ მოსაზრებით ქურმუხის ეს ძველი სალოცავი, შესაძლებელია, მივაკუთვნოთ ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ხანას, დაახლოებით VI-VII საუკუნეებს.

ერთი სიტყვით, კახის ეს ისტორიული ძეგლები იძლევა საყურადღებო მასალას საინგილოს ისტორიული წარსულის გასაშუქებლად, სახელდობრ, ქრისტიანობის გავრცელების ადრინდელ პერიოდისას, რაც დღემდე არ იყო სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული.

სიმონ ქიტიაშვილი,

კახი (აჭერბაიჯანის სსრ). ქოთოქლოს სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

ლექეთის ტაძრის კაპიტელი.



1 ზ. ედილა. საინგილო. თბ. 1947 წ. გვ. 33.



# კეისი



ანჰორ გვარამია

ნახ. გ. თოთბაძისა

— დილა მშვიდობისა!  
— მშვიდობა ნუ მოგიშალს ღმერთმა!

ასე ვესალმებით მე და მჭედელი ერთმანეთს.

მჭედელი წყალგაღმა ცხოვრობს, მე წყალგამოღმა. შუაში ვეება მდინარე ჩავვიდის. ხიდის ნაცვლად მორია გადებული. მორი აკაციისა, ოთხ წელიწადში ერთხელ ცვლიან. სოფლის კაცებს ბრტყლად გაუთლიათ იგი, საცალფეხო ბილიკის სიგანე აქვს, მაგრამ ზედ გამვლელი ერთმანეთს მაინც ვერ უქცევინ მხარს.

წყალგაღმელებს ვეძახით იქითა მხარეს მცხოვრებთ. მჭედელსაც აგრე ეძახიან.

იგი ჩვენს სოფელში მაშინ მოვიდა თავისი ჯალაბ-ჯულაბით, როცა მე ჯარში გამიწვიეს. ჯალაბი სიტყვაზე მოვიტანე, თორემ მჭედელი მართო მოვიდა, მხოლოდ ერთადერთი გოგონა მოიყოლა თან.

გოგონა მაშინ პატარა იყო, ქურციკოვით მარჯვე, ლოყებაწითლებული და წყალივით დაუდევარი. როცა სამჭედლოსთან ჩამოვივლიდი, ენის წვერს გამომიყოფდა, დამეჯღანებოდა და მერე შიშველი ფეხების ტყაპუნ-ტყაპუნით გარბოდა.

ხანდახან იგი სამჭედლოს ლაფაროში ჩამოჯდებოდა, სადაც მჭედლის ათასნაირი ნაყარნუყარი ელაგა. რა არ იყო აქ: ფერსოდარბული ურმის თვლები, ტარმოდრეცილი ჩაქურები, ჟანგმოკიდებული ქვაბები და აბა, ვინ მოთვლის...

გოგონა ხშირად იჯდა აქ. მზეზე თებულობდა, არც ენის წვერს გამოყოფდა მაშინ, არც ვინმეს ეჯღანებოდა და არც ფეხების ტყაპუნით გარბოდა. სულაც არ შემომხედავდა, იჯდა აკუნებულ და ნახშირის კენჭებს ისროდა.

— დედაზე ფიქრობს, — ამოხენე-შითა და ლოყების ბერვით ამბობდა ცრემლმორეული მჭედელი. — შვიდი წლისა იყო, როცა... — მერე ვერ დაათვაობდა გულაზვილებული, მაგრამ ყველა მიმხედარიყო გაწყვეტილ სათქმელს.

...ახლა კი დაქალბუღია მჭედლის გოგო, ცქვიტი და ახლად გაფურჩქნილ რძია-რძისავით ნაზი. უკვე ქცევაშიც დასტყობია ქალწულის სიკვლევით. რბილი ლოყები კიდევ უფრო აწითლებია, ისე წამოჭარბლებია, გეგონება — აგერ-აგერ სისხლი გაღმორქვფსო. დიდი გოგონას ღიმილით ილიმება და ძველებური დაუდევრობაც გასვლია. ახლა ბიჭების შეხედვასაც ერიდება. მე რომ მჭედელთან მოვდივარ, იგი საბერველს უკან დაიმალება და მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა მამა რამეს დაავალებს. პატარა კალათის ხელს დაავლებს, გამომწვარ ნახ-

შირს ჩაყრის შიგ და გადასაყრელად მიაქვს. მინდა, მივეხმარო, გავყვი, მაგრამ მჭედლისა მერიდება. საქმით გართულ მჭედელს დროს ვუშოვი და სარკმლიდან გოგონას ჩუმად ვუთვალავალებ.

მოდინ მჭედელთან ათასნაირი ვილაგის ადამიანები: ზოგი ნაღს აჭედვინებს, ზოგი ხარებს მოერეება დასაჭედად, ზოგს ურმის თვლები მოაქვს სალტეს შემოსაჭედად.

მოდინ მუშტრები და ესალმებიან. მჭედელი ჯერ მიესალმება, მერე მუშაობას თავს ანებებს და ჩაქურმომარჯვებული ხელით მზეს იხრდილავს.

იგი მაღალია, მაგრამ ჩასკენილი და ჯმუხი. დავეირისტიებული ფარაჯა აცვია, რომელზედაც მოოქროვილი ღილები თავისივე ფერის მავთულითა დამაგრებული. მუხლისთავებთან ძველი ბრუნეტის ჩამონახევებდაკერებული შარვალი ყვლგახუნებულ ჩექმებში აქვს ჩაშვებული. ალაგ-ალაგ მოვარაყებულ ბალთებიანი წვრილი ქამარი არტყია. ჩამოფხატული ქუდი ხურავს. იქიდან ძლივს მოუჩანს ერთთავად გაჭადარაებული თმები. მხოლოდ უღვაში შერჩენია ჭადარაგამორეველი. ის კია, თუთუნის წვეისაგან კიდები შეყვითლებია ტურზე ჩამოწოლილ უღვაშს.


მუშაობისას ჰაიპარად გადაცმა ჩვევია. ფეხზე ჩექმებს გაიხდის და ქუსლებზეაჭრის ძველ ფეხსაცმელს მორიგებს. ფარაჯას ლურსმანზე მიაკიდებს, ქუდასც ზედე დაჭკიდებს და მუდამ გამტვერილი წინსაფრის ზონრებს წელზე შემოიჭერს.

მერე მთელი დღე ჭედავს. ეშენიფ უზერავს საბერველი. დავა-დუგობს ჩაქურჩი, ნალი ნალზე იჭედება.

სამჭედლო ქვიტიკისაა, საკმაოდ დიდია. ერთ დარბაზივით ოთახში მჭედლის რამერუმე ყრია. გარდა ამისა სამჭედლოს ორი ოთახი აქვს: ერთი მასზეა მოშენებული. მეორე კი ამ მოშენებულ ოთახს ერთვის პირდაპირ. ამ ორ ოთახში მჭედლის ბარგი-ბარხანა აწყვია, აქ იგი ცხოვრობს თავისი ქალიშვილით.

ეს სამჭედლო გორაკის ბოლოზეა აშენებული, ახლომანლო არც სახლია ვინმესი და არც რამე შენობა. გორაკის ბოლოზე გადასახედი, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს გორაკს ქვემოთ გაშლილი სოფლები. სოფლებს იქით თვალშეუვლები სივრცეა, შემდეგ კი ლივლივა ზღვა. აქედანაც მოჩანს, თუ როგორ გადატყდება ჩამავალი მზის სხივები ზღვის სიღრმეში და როგორ ჩაეშვება ღრუბლებს მიტმანნილი ცისარტყელა.

მე და მჭედელი შაბათ საღამოს ვილხენთ ხოლმე. ცარიელ ბოთლებს და ფულს ნოქარს გავუზავებით და ესვამთ ღამის თორმეტ საათამდე. მერე



ერთმანეთს ვკოცნით, მეგობრობას ვეფიცებით. იგი მეუბნება, შვილივით მიყვარხარო, მე ვეუბნები, შენს ოჯახზე ვინც სხვანაირი ჩაიღოს გულში, აი ასე დაიქცეს-მეთქი და ჭიქას ვაპირქვავებ.

შაბათია. ჩვენ ცოტა შეზარხოშებას არ დავეჯრდით, გოგონა ცარიელი ბოთლებით ნოქართან ვაფრინეთ.

ახლა დარჩენილ ღვინოს შევექცევით.

— ამით შენი გოგო ვაღდეგრძელოთ, — ვუთხარი მჭედელს და თვალი ავარიდე. მან ჯერ დამიბღვირა, მერე თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი მსმენიაო, საუბრის თემა შეცვალა.

მე კვლავ ავიდე ჭიქა:

— ამით ის ვაღდეგრძელოთ, ის... ვინც ეს ლამაზი სუფრა გავგიშალა.

მჭედელმა კვლავ დამიბღვირა. არასოდეს წაკვილებულვართ და მეუცნაურა მისი მოღუშული სახე. ჭიქები მივუჯახუნეთ ერთმანეთს, მე კიდევაც მივიყუდე გამოსაცლელად, მაგრამ მჭედელმა თავი დახარა და ჭიქა სუფრაზე ჩამოვდა. მეც ჩამოვიდე.

— არა, — ამბობს იგი, — ამით ჩვენს მიცვალბულებზე ვთქვით რამე, როგორც წესია და რიგი.

— რა დროს მიცვალბულებია!

— დამიჯერე.

სხვა გზა არ იყო. დავლიე. მან კი ჭიქა გადმოსწია და ბურზე დააწვეთა. მერე გამოსცალა.

ცოტა ხნის შემდეგ გადაკრულად მი-თხრა:

— მარტოხელა კაცი ვარ ქვეყანაზე, ეს ერთი კუდარტადა შემჩრა. მეშინია, ბიჭო, ძალიან აიყარა ტანი, თექვსმეტის არი და ოცის ეგონება შემყურეს, — მითხრა და შემომხედა. მივხვდი, სად დამკრა. გავჩუმდი.

გოგონამ ღვინო მოიტხანა და სასუქ ჭიქები ჩამოვიკრივა.

მჭედელი დათვრა. გამოცილებას აპირებდა, მაგრამ ფეხზე ძლივს იდგა. გოგონა ყვარჯენივით შეიყვანა მხარში და გამომყვა.

წვიმდა. ირგვლივ წუმბეები დამდგა-

რიყო. ტბორებზე დაცემულ წვეთებს წკაპუნ გაჭქონდათ.

გამომემშვიდობა და წასვლა დააპირა. მაგრამ წაფორხილდა. გოგონამ ხელი წააშველა, თორემ წუმბეში ტყაპანს მოადენდა.

რა მექნა, ახლა უკან ვაგაცილე.

გაქხადეთ და ჩავაწვინეთ. ჯანსაღი კაცის ხვრინვა ამოუშვა.

— მო... — ვჩურჩულე.

— წადი, თორემ მამა გაიღვიძებს.

— მამას რა ვააღვიძებს, არ ხედავ, როგორ ხვრინავს.

გარეთ თავსხმაა, ელაგს და გრუხუნებს. ელვის სინათლეზე ფანჯარაში წუთით გამომჩნდებიან კენარი ცაცხვები და აყრილი ფიჭვები.

— წვიმა უფრო დაუშენს და დასველდება.

— სულ ერთია, მაინც დასველდები.

— დასველდები!

— დასველდე.

— მაშინ მამის ფარაჯას გაგატან. ხეალ კვირაა და ნამთვრალევი მამა გვიანობამდე ჩაიძინებს. იცოდე, მის ადგომამდე მოიტანე.

— მეც თუ არ ჩამეძინა, კარგი.

ჩამოილო და ხელში შემაჩეჩა.

— თუ გვიან მოიტანე, მამას არ უთხრა, მე რომ მოგეცი.

— თუ გამასხედა, კარგი.

— ჩქარა წადი!

— ჩქარა წავალ, — ვთქვი და ფარაჯა მოვიხურე.

მას შემდეგ მჭედელთან სიარულს მოვუშინე. ახლა ყოველდღე ავეტუშები. უკვირს მჭედელს, უწინ მხოლოდ შაბათს მოვდიოდი, ახლა მოსუნებას არ ვაძლევ. ხან რას ვიმიზეზებ და ხან რას!

ცული მივუტანე, ვეუბნები, უნდა მომიპირო-მეთქი. ცერი-თითი ფხაზე გაუსვა და მითხრა, კაი ფხისაა, მოპირვა არ ჭირდებაო.

ხან ნახარშიაქვს, ხან კიდევ — ხანჯალი, მაგრამ მჭედელი მასუსობს არაო, და თან ჩუმად ილიმება.

მაშინ ისე ვარ არეული, რომ პაპიროს უკულმა ვიჩრი პირში. სკამის ნა-





# გამგრიკელები

ალ. ბეჟირაძე

ცვლად ნახშირით გამურულ ფიცარზე ვჯდები და გაწვილებული ვწვრივალბე. ერთ დღეს ნამგალი მივუტანე მჭედელს. ისე შემომხედა, თითქო თვალეზით მითხრა: „სხვა დროს მოსულიყავ. შაბათს მოდი, წინ კვირა“.

— მოსაპირი არაა, მხოლოდ გალესეთ, — ვუთხარი და ჩამოვკეცი.

მაინცდამაინც ახლა მოუნდა ამ გამომწვარი ნახშირის გადაყრა. გოგონას უხმო და ნამგალს ირიბად გახედა.

— არც გასალესია... ანდა ამ შუა-ზაფხულში ნამგალი რად გინდა... გაეწითლი და აფორიაქებული გარეთ გაეარდნას ვაპირებ, თან ვეტყვი, არასოდეს აღარ მოვალ შენს ოჯახში, ფეხსაც ამოვიკეფო-მეთქი. მოვემზადე სათქმელად და მერე წასასვლელად, რომ უცბად კარებში გოგონა გამოჩნდა.

— რად მეძახდი, მამა!

მე და მჭედელი განცვიფრებული მივამტვრინეთ ჯერ გოგონას და მერე — ერთმანეთს. იგი სირცხვილით იწვოდა. აბა სად ჰქონდა იმისი თავი, რომ ეთქვა, თუ რად დაუძახა.

გოგონას მუხლებამდე არ წვდებოდა მოკლე კაბა, გაშიშვლებული წვივები სულ ერთიანად მოუჩანდა. ალბათ, მე არ ვეგულუბოდი, თორემ ასეთი კაბით როგორ შემოვიდოდა!

მჭედელი უკმაყოფილოდ აბუზღუნდა:

— რაღა ეს ჩაგიცვამს... ერთი თვის წინათ შეაკერინა და... აღარ იცის, რითი დააბოლოოს.

მჭედელმა კალათას ხელი დასტაცა და თვითონ აავსო ნახშირით, მერე წაუხმარებლად შეიდგა მხარზე და გოლიათის ნაბიჯით გააღაჯა გადასახედისაკენ, სადაც გამომწვარი ნახშირი უნდა დაეყარა.

— მო... — აერჩურჩული მე.

— წადი, თორემ მამა მოგვისწრებს.

— მამის გეშინია?

— არ მეშინია. მიყვარს.

— ვინა, ვინ გიყვარს?

— მამა.

— სხვა არავინ?

— სხვა ვინ უნდა მიყვარდეს?

— არც შეგიყვარდება?

— რად უნდა შემეყვარდეს... არ ვიცი...

კიდევ რაღაც უნდა მეთქვა, მაგრამ მჭედელმა კარები შემოაღო და კალათი იქვე დაანარცხა. ჩუმად იდომება და არ იცის, რა გააკეთოს. ხან ჩაქუჩი, აილო, ხან ნამგალი მოიმარჯვა და ქლიბი გაუსვა, ხან კი საბერველის სახელურს ჩამოსწია.

— მაინც გავლესავ, არ გაგაწვილებ, — მითხრა და ქლიბი ააჭიხვინა ნამგლის ფხაზე.

ახლა მჭედელი იჩრის პაპიროსს უკუღმა და სკამის ნაცვლად ნახშირით გამურულ ფიცარზე ჯდება.

მან ღლინით განაგრძო თავისი საქმე. არ ვიცი, რა უხაროდა. მისი გოგო პატარა რომ აღარ იყო, ეს თუ... გოგონამ დარჩენილი კენჭები კალათში ხრამუნით ჩაყარა და წასასვლელად მიემზადა. მე მივეშველე, კალათის ერთ მხარეს ხელი მოკვიდე და გავყვი.

გორაკის ბოლოზე გამოგაპირქვევით კალათი. აქ კი გადასახედა.

ჩვენ გადასახედთან ვდგავართ და გავყურებთ ქვემოთ ჭრელაჭრულა ხალიჩასავით გაშლილ სოფლებს. სოფლებს შემდეგ თვალშეუვლები შორეთია, უნაპირო და დაუსაბამო. მერე კი თვალუწვდენი ზღვა.

— ნურაფერს ნუ მეტყვი, თორემ მამა ფანჯრიდან გეცურებს.

— მამის გეშინია?

— არ მეშინია. მიყვარს.

— ვინა, ვინ გიყვარს?

— მამა...

— წამო ტყეში მაცვალი დაკრივოთ. გინდა?

— არ გამიშვებს.

— მამინ მე წავალ და დაგიკრეფ, კარგი?

— არ დაგვინახოს და კარგი.

მე გადასახედთან ვდგავარ და ქალწულის საპატარძლო ფარჩასავით გაშლილ შორეთს გავყურებ.

მჭედელი კი ნამგალს ლესავს. ისმის ქლიბის ჭიხვინი.

ქშენით უბერავს საბერველი. დაგაღუგობს ჩაქუჩი.

ნალი — ნალზე იქედება.

კურანტები სპასუხე სიმუხღროვის არღვევს.

მაგიდაზე დაწვა საუკუნის ჩრდილი.

ვფურცლავ არა ფურცლებს, ვფურცლავ ბაირალებს, და დრო მაგიდიდან ფეხბარეფით მიდის.

მე ვებები დროშებს გადარუჯულს ალით, მათზე ისევ ადის დენთის ბოლი მკვეთრი, მე ვკითხულობ წარსულს, ნევის თავზე გავლილს და წარსული არის მკაცრი, როგორც დენთი.

მე მივიღვიარ იმ გზით, რაიც უკვე განვლეს ჩვენმა წინაარბებმა, — ღიმილია თუ მწუხრიოთ, „ნაპერწკლიდან“ დაძრულთ არ დაღლიათ მუხლი და მოესწრნენ ქვეყნად მძლე „ავრორას“ ქუხილს.

გაფრენილი წლების გროვა თვალწინ ელავს, უღმობელი ბედი... ბორკილებ ქვეშ კენესა... დღეს ვკითხულობ ისევ, ვკითხულობ და ველავ, სკკ მძღავრო, ისტორიას შენსას... საუკუნოდ დარჩენ ჩაწერილი წითლად, ყველა გმირის გვარი, ვინც ეკვეთა წყვიდალს, ვინაც ბრძოლის ველზე პატივით და წვით, განაგრძობდა ახალ ისტორიას დიადს.

ღმერთო მომეც ძალა — ავწიო და ვზილო ის სიმძიმე დროის, — ვთქვა სიმღერის ლარზე; ისტორიის შვილებს ზრდიდა სახელმწიფო, მკაცრმა ათმა წელმა გაღუქროლა თავზე.

კურანტების ხმები ზეცის კარებს ადებს, ცისკრის ტალღა მოდის, ვით მდინარეს შვენის, და კვლავ არა ფურცლებს — მხოლოდ ბაირალებს ძველებურად ფურცლავს გარუჯული ხელი.

ცისკრის იქით ისმის მძიმე შარიშური... საუკუნოდ მრჩება ერთგულსა და ნაფიცს და ხმაურობს გულში ბრძოლითა და შრომით

გამოვლილი ჯაფით ათწლეული მკაცრი...


და ბაქანი იწვის, მგზავრი არ ჩანს მასზე, ძნელი არის მეტად სანგარს მთელს რომ შეხვდე; კომუნისტი მართლაც ძლიერია ტანზე — ოფიცირმა ჩვენმა გვითხრა არა ერთხელ. მე მარტინოვს ვუხმობ — კომკავშირის მდივანს, მარტინოვო, გესმის?! — დაგვიტერეს ადრე; ვართ სამშობლოს მცველნი დაბადების დღიდან, დიახ! კომუნისტი ძლიერია ტანზე. მუხლებზექვეშ გავძლებთ, გავძლებთ მტრების რისხვად, ვერ გავგვრისავს ტანკი — გუდერიაინსა... მეგობრების ხსოვნა არის ჩვენი ვალი, — (მხარი მხართან გვქონდეს გული გვქონდეს გულთან); მთელი ფრონტი გიხმობს და აღადგენს კრძალვით შენს ცხოვრებას სათუთს, ლამაზსა და სუფთას. მე ხომ ვიცნობ ყველას შენს მეგობრებს შორის, (ადექ მათთან იყავ; დატკიბ მათი ნახვით) კომისრები ნახე სამამულო ომის, მშენებლები ნახე და მოთავე ხალხი. როგორც შოლტის სტვენა — ტყვიაც ისე სტვენდა და შიგნავდა ნაღმი დიდთა ზღვათა მუცლებს; ათწლეულში ნაწრთობ კომუნისტთა წყება მიდიოდა, ქმნიდა ისტორიის ფურცლებს. დღეს ტურბინებს შორის თუ გვიარბებს შორის, — ხალ კლდესავით მდგომებს არ ელევათ ძაღა; საგუბართა შორის თუ ტურბინებს შორის მშვიდობის და შრომის დამცველებად დგანან-სკკ მძღავრო ისტორიავ ბრძოლის, კომუნისტთა საქმე უკვდავია შენით; სკვრეტ თაროზე წიგნებს და წიგნების გროვა გისწორდება მწკრივში, ვით სალდათებს შეენით!... თარგმნეს გურამ კლდიაშვილმა და რევაზ ზინინამ.





# თბილისი ჩაქვის

ქრონიკალი  
გიგლიძეთა



გარიერაზე სამშობიაროს ფანჯარაში შე-  
მოჭრილ მზის სხივებს პატარა თბილისელი  
პირველად მიესალმება.

ფოტო 3ლ. პინზუბრისა და  
ოთ. თუჩიძის.

ტექსტი ჯ. ანუჩიძისა.

ღამის ყველა ღრის შეიძლება ელაპარაკო ჩვენი  
თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა ქალაქს. თუ გნე-  
ბავთ აქ შეგიერთებენ უცხოეთის ქალაქებსაც — პარიზს,  
რომს, პრაღას... ამ ფოტოზე აღბეჭდილ ტელეფონისტე-  
ბის მეშვეობით თბილისი ხშირად დალაპარაკებია უცხო-  
ეთში საგასტროლოდ გამგზავრებულ ნინო რამიშვილსა  
და ილიკო სუნიშვილს...


თბილისში, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს  
სხვა ქალაქებში, დილაადრიან იღვიძებენ და ებმე-  
ბიან შრომის ფერხულში, ისვენებენ: მიდიან თეატ-  
რებსა და სტადიონებზე, უსხედან რადიომიმღებებსა  
და ტელევიზორებს, სერიონბენ ბაღებსა და ქალაქ-  
გარეთ.

და აი, როცა დღე იწურება, მოატანს გვიანი ღა-  
მე და რადიომიმღებიც ჩვენი ვრცელი სამშობლოს  
ჰიმნის უკანასკნელ პანგს გადმოსცემს, თბილისელე-  
ბიც, როგორც სხვა ქალაქების მკვიდრნი მიეცემიან  
ძილს, რათა მეორე დღეს კვლავ შეუდგნენ შრომის  
სიმღერას, დასვენებას, გართობას...


თბილისში ღამით შემთხვევით გამვლელს თუ შე-  
ხედვით. სძინავს ქალაქს, სძინავთ მშრომლებს. მა-  
გრამ არიან ადამიანები, რომელთაც არ სძინავთ, არ  
სძინავთ რადგან მათ აკისრიათ მეტად საპატიო ამო-  
ცანა: მოემსახურონ მათ ვინც ღამით ძილს მისცემია.  
სწორედ ამ ადამიანების შესახებ გვინდა გესაუბროთ,  
გესაუბროთ ადამიანებზე, რომლებიც მუშაობენ ღა-  
მით: გვაკავშირებენ ქალაქებს, აცხობენ პურს, იცა-  
ვენ თბილისის მყუდროებას, ამარაგებენ მაღაზიებს  
პროდუქტებით... ერთი სიტყვით გესაუბრებით ყველა  
იმათზე, ვინც ღამით თბილისელეებზე ზრუნავს.  
მაშ ასე, სიტყვა მივცეთ ფოტორეპორტაჟს...




აქ ამ ღრის არ ისვენებენ, მეორე  
დღისათვის ემზადებიან... თაროები  
ახალთახალი პროდუქტებით ივსება.







საროტაციო მანქანიდან გაზე-  
თები გადმოდის... სანამ იგი  
დასრულებულ სახეს მიიღებდა  
წინა დღიდან მოყოლებული  
შუალამედე გაზეთმა მრავალ-  
თა ხელში გაიარა: ლინოტიპი-  
სტი, ლიტმუშაკი, კორექტორი,  
მხატვარი, ტექნოლოგი, რედაქტორი,  
სტილისტი, რედაქტორი, მხეჭ-  
დავები და აი, დილის პირს იგი  
უკვე მზადაა. ჩქარა გაზეთებს  
დაანაწილებენ და დილით მას  
საგაზეთო კიოსკები და ხელის  
მომწერლები მიიღებენ.



ესენი ღამეც არ ისვენებენ, აკვირდებიან საბჭოთა მესამე თანამე-  
ზავრის მოძრაობას, უსმენენ მისი რადიოაპარატურის „გულის ფეთ-  
ქვას“.


ვარაუდობენ რომ დედამიწის ეს თანამგზავრი გაშვების დღიდან  
500 დღეს იმოგზაურებს ცის სამყაროში. მობეზრდებით თბილისე-  
ლებს მასზე დაკვირვება? — არა, თბილისელები სხვებს არ ჩამორ-  
ჩებიან.

დომინოს თამაშში გარ-  
თული მეხანძრეები სამუშა-  
ოდან თავისუფალნი არიან?  
— არა! ახლა დღის პირვე-  
ლი საათი არ არის. დამის  
ოთხი საათია. მათ ხომ ყო-  
ველ წუთს შეიძლება დაუ-  
რეკონ, რომ სადღაც ხანძა-  
რი გაჩნდა. აი, რატომ ფხი-  
ზლობენ ისინი.  
თუმცა ხანძრის გაჩენას  
დომინოს თამაშში სჯობია.  
განა ასე არ არის? — ეს  
ასეა, მაგრამ პოსტზე ფხიზ-  
ლად ყოფნა მინც მათი ვა-  
ლია.




თბილისის საფუნთუშე მალაზიე-  
ბი ყოველთვის საესეა სხვადასხვა  
ფუნთუშეულით. პურისა და სა-  
კონდიტრო ქარხნები მთელი ღამის  
განმავლობაში აცხობენ პურს,  
რათა დილით მშრომელებს მიაწო-  
დონ პურეულის ახალი ნაწარმი.  
აი ახლაც შუა ღამეა, თბილისურ  
თონეებს კი არ სძინავთ. დილაად-  
რიან ცხელ-ცხელი ქართული პუ-  
რები გაჩნდება თბილისელთა სუფ-  
რებზე. ქალაქი იზრდება, ქართუ-  
ლი პურის მსურველი მრავალია,  
ხომ არ დადგა დრო, რომ თონეთა  
რიცხვი გაიზარდოს?

ქალაქმა დაიძინა. სძინავს ტრანსპორტსაც.







ამათთვის ღამეც ნათელია.




აფიშების განკვერულ-  
მა უკვე იცის, რომ თბი-  
ლისში მოძმე უნგრეთის  
ესტრადის მსახიობები  
ჩამოვიდნენ. დილით ეს  
ამბავი თბილისელებსაც  
ეცოდინებათ.

—გეთაყვა, გთხოვთ სა-  
ჩქაროდ წამალი დამიშ-  
ვალოთ, აი რეცეპტი...—  
მოითხოვს მოქალაქე.  
—მძიმე ავადმყოფია?—  
ნუ გეშინიათ, წამლის  
დამზადება შუა ღამი-  
თაც შეიძლება.



გამომთვრალს უკაცრიელ ქუჩაზე  
სახსურბრად რომ ვერაგინ უნახავს, ავ-  
ტომანქანებთან აუტესხია „ბრძოლა“.  
აი, შედეგიც.

ცოტა ხანიც და იგი თბილი ლოგინის  
ნაცვლად მილიციის სამორიგეო ოთახში  
„მოისვენებს“. ასეთ წვრილმან ხულიგ-  
ნებს „15-დღიანებს“ უწოდებენ.







პირველად სადარაჯოზე.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა.

## მარგალიტი ჩვენს ავალიანში

მარგალიტი, როგორც უძვირფასესი სამკაული უძველეს დროიდანვე ცნობილი: ძველი ეგვიპტე და რომი საკმაოდ მდიდარი იყო ამ სამკაულით. ღრეობაზე, რომელიც ცნობილ რომაელ პოლიტიკურ მოღვაწეს მარკ ანტონიოსს გაუმართავს, ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას თასში ჩაუვდია უძვირფასესი მარგალიტი და გადაუყლაპავს იგი. იულიოს კეისარს ბრუტუსის დედისათვის მიურთმევა 1.000.000 ფრანკად ღირებული მარგალიტი. რომის იმპერატორის კალიგულას მეთულე ატარებდა მარგალიტის ყელსაბამს, რომელიც შემდეგ 8.000.000 ფრანკად იქნა შეფასებული, ხოლო სპარსეთის შახის დიდი მარგალიტი XVII საუკუნეში შეფასებული იყო 1.600.000 ფრანკად.

მაგრამ, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ძველად მარგალიტს მხოლოდ ძვირფას სამკაულად ხმარობდნენ. არის ცნობები, რომ მარგალიტის ფხვნილს სამკურნალოდ იყენებენ ისეთ დაავადებათა წინააღმდეგ, როგორც არის საყმაწვილო, მჭამელი და სხვ.


საესებოთ გასაგებია ის ინტერესიც, რომელიც ძველთაგანვე გამოიჩინა ადამიანმა მარგალიტის მიმართ. მაგრამ როგორ ჩნდება იგი? მანამ, ვიდრე მეცნიერები შეისწავლიდნენ მარგალიტის წარმოშობის მიზეზებს, გაბატონებული იყო შეხედულება, რომლის მიხედვითაც მარგალიტი მოლუსკის (უხერხემლო ცხოველი) დაავადება და სხვა არაფერია. ეგონათ, აგრეთვე, რომ ერთი პატარა მწერი შეიჭრება მოლუსკის ნიჟარაში, მაგრამ იმის გამო, რომ მოლუსკს არ გააჩნია შესაძლებლობა თავი დაიცვას ამ „დაუპატიებელი სტუმრისაგან“, ის ათავსებს მწერს შესანიშნავ „საპყრობილეში“ — მარგალიტის შრეში, სადაც მწერი უკვე არ არის საშიში მოლუსკისათვის.

დღეისათვის მეცნიერებმა ექსპერიმენტულად შეამარტებულ ითვლება ის, რომ მარგალიტის წარმოშობა დაკავშირებულია ე. წ. ორსაგდულიანი მოლუსკების ზოგიერთი წარმომადგენლის მოქმედებასთან. ეს არის ორგანიზმის დამცველობითი რეაქცია მიმართული სხვაგვარი სხეულების წინააღმდეგ. ამ მოლუსკის ნიჟარა 2 საგდულისაგან შედგება, ეს საგდულები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული იოვით. თუ მოლუსკის ორგანიზმში რაიმე გზით მოხვდა ამ ცხოველისათვის უცხო სხეული: ქვიშის მარცვალი, წყალმცენარის ნაგლეჯი, რომელიმე პარაზიტი და სხვ., მაშინ მოლუსკი ახდენს ამ სხეულების ინკაფსულაციას. ეს უკანასკნელი მდგომარეობის იმას, რომ მოლუსკის ორგანიზმში მოხვედრილი სხვაგვარი სხეულის გარშემო ჩნდება შემაერთებულსოფილოვანი შრე. შემდეგ, თანდათანობით ჩნდება სხვა შრეებიც: პრიზმატული, ორგანული და სადაფის. ის, რასაც მარგალიტი ეწოდება არის სადაფის, მეტად თხელი, კონცენტრიულად განლაგებული შრეები, რომელიც მარგალიტში იწვევს ოპტიკურ მოვლენას — ოპალესცენციას. მარგალიტის დამახასიათებელი ელვარება (რომლითაც ასე ძვირად ფასობს იგი!), მისი ფერების თამაში გამოწვეულია მისი შრეებიდან არეკლილი სინათლის სხივების ინტერფერენციით.

სადაფის შრის სისქე მისი მეთათასედი და შეათათასედი ნაწილებით განიზომება. სადაფის შრე გამჭვირვალეა. ამ შრეში სხივები აღწევენ თვით მარგალიტის გულამდე და სხვადასხვა შედაპირებიდან არეკლილი სხივების ინტერფერენციის გამო ადგილი აქვს სხივების თამაშს ცისარტყელას ყველა ფერით.

საერთოდ მარგალიტის ღირებულებას განსაზღვრავს მისი ფერი, ფორმა და სიდიდე. ფერი, ჩვეულებრივად თეთრია, მოვარდისფერი ელფერით და სხვ. წი-

ნათ მეტად დიდად ფასობდა ვარდისფერი, ან მოლურჯო ფერისა და მრგვალი ფორმის მარგალიტი. მარგალიტის მოყვარულთა აღტაცებას იწვევდა, აგრეთვე, საესებოთ შავი ფერის, მოელვარე მარგალიტი. ცვალებადია მარგალიტის სიდიდეც: იგი შეიძლება იყოს პატარა მარცვლისოდენა და მტრედის კვერცხის ოდენაც. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ მარგალიტის ფორმას. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ძვირად ფასობს მრგვალი მარგალიტი, შემდეგ მსხლისებური და ოვალური, თუმცა მე-17 საუკუნეში დიდი მოწონებით სარგებლობდა გვერდებიდან შეჭყლეთილი მარგალიტი, ე. წ. „ბაროკო“.



ნამდვილი მემარგალიტის ნიჟარა მარგალიტის მარცვლებითურთ.


მარგალიტი ნიჟარაში შეიძლება იყოს თავისუფლად, ან შეზრდილი იყოს ნიჟარასთან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მარგალიტი უფრო ნაკლებ ფასობს, რადგანაც ნიჟარისაგან მოშორებისას მას აჩნდება დაზიანებული ადგილი.

მარგალიტის მომცემი მოლუსკი — ნამდვილი მემარგალიტე—გაგრძელებულია ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების ტროპიკულ ნაწილებში. ეს მოლუსკი წყალში შედარებით არაღრმად გვევდება. ყველაზე უფრო ძვირფას მარგალიტს პოულობენ ინდოეთისა და, განსაკუთრებით, ცილონის სანაპიროებზე, სპარსეთის ყურეში, წითელ ზღვაში, ახალ გვინეასთან, ფილიპინების კუნძულებთან, კალიფორნიის ყურეში და სხვ.

ზღვეში მარგალიტის მოპოვება ადრეან გაზაფხულზე ხდება. მოპოვება სწარმოებს ნაგების საშუალებით. მაგრამ „მარგალიტების მაძიებლები“ (ასე უწოდებენ მარგალიტების მოპოვებელ მყვინთავებს) მოქმედება დიდ რისკთან არის დაკავშირებული, რადგანაც ისინი, ზოგჯერ მარგალიტებზე „ნადირობისას“ მსხვერპლად ეწირებიან ზვიგენებს. „მარგალიტის მაძიებლები“ წყალქვეშ არიან 45-50 წამს, ზოგჯერ მეტ ხანსაც.

იმის გამო, რომ მემარგალიტე მოლუსკების ბუნებრივი მარაგი საგრძნობლად შემცირდა, სტადეს სხვა, ხელოვნური გზებით მოემარგალიტებინათ მარგალიტი. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩინური წესი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: დაჭერილ ორსაგდულიან მოლუსკს ნემსით რამდენჯერმე უჩხვლეტენ, ან მის საგდულეში ათავსებენ მინის პატარა ბურთულას, ან კიდევ მრგვალი ფორმის სხვა საგანს. შემდეგ მოლუსკს კვლავ ათავსებენ ზღვაში, გარკვეულ ადგილებში. გადის დრო (რამდენიმე წელი). მოლუსკის სხეულის ნახვლეტი ადგილების ირგვლივ ჩნდება მარგალიტის ფენა, ან საგდულეში მოთავსებული რაიმე სხეული (მინის ბურთულა და სხვ.) იფარება მარგალიტით. ამგვარადვე იქცევიან იაპონელებიც. ფიქრობენ, რომ მარგალიტის სრული „სიმწიფისათვის“ საჭიროა 7-10 წელი.

მაგრამ მარგალიტის მოპოვების ობიექტი არის არა მარტო ზღვის მემარგალიტე მოლუსკები, არამედ მტკნარი წყლის ორსაგდულიანი მემარგალიტეებიც. წინათ, რუსეთში, მტკნარი წყლის მემარგალიტის მოპოვება ხდებოდა მურმანსკისა და ასტრახანის ოლქებში, შორეულ აღმოსავლეთში და სხვაგან. საინტერესოა ითქვას, რომ მტკნარი წყლის მემარგალიტის სიცოცხლის ხანგრძლიობა 100 წლამდე აღწევს.



ნახატი-ხუმრობა ა. ერადისა.

რედაქტორი გრ. აბაშიძე      სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გვიგინიშვილი, ს. ღურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა      ტექნიკური დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხართ.      ტელ.—რედაქტორის და პ/მგ. მდივნის—3-52-69, განყოფილებების—3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.      ვახსი ვ მან.      გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასახეულად 19/VIII-58 წ. გამომც. № 137. ქაღ. ზომა 70x108/16, 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი 25.000. შეკ. № 823. უე 03640

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ფოტო კ. კრიშკიძე.

კახი. ლიქეთის ტაძარი V-VII საუკ.



გარეუკანის პირველ გვერდზე: ძეგლი იან რაინისის საფლავზე  
მხატვარი ა. ბანძელაძე  
მეოთხე გვერდზე: ვაგრა. პალმების ხეივანი.  
ფერადი ფოტო მ. მიხაილავისა



სპ. 69/206



ქართული  
ბოტანიკური

